დღევანდელი ნომერი 8 გვერდიანია

№ 33 (11080)

30 აპრილი – 2 მაისი, 1997 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**30 აპრილი — დიდი ფეხბურთის დღე**

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ ლონდონიდან პირდაპირი ტელერეპორტაჟი საქართველოს-1 და რუსთავი-2-ის არხებით 23 საათსა და 50 წუთიდან დაიწყება.


**ნომერშია ნომერშია**

- პროფკავშირებს ან ფული აღარ აქვთ ან საორგს შეერისწყინდნენ
- მოსაზრებები ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის დებულების პროექტთან დაკავშირებით
- ჭიათურელებს I ჯგუფში განაღდებული აქვთ
- „რეიტინგ-ლისტი" და ჩვენი მოჭადრაკეები
- სანქციების გერმანული ნიმუში
- საინტერესო ამბები, საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი




# ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

## უემბლიზე: ინგლისი — საქართველო

### მსოფლიოს სტადიონებზე მორიგი შესარჩევი მატჩები

**FRANCE 98**

**ცხადია, პირველ რიგში, ქართველი გულშემატკივრების მზერა ლონდონისკენაა მიპყრობილი, სადაც ინგლისი — საქართველოს შეხვედრა ჩატარდება. მეორე შესარჩევ ჯგუფში კიდევ ერთი მატჩია: ნეაპოლის «სან-პაულოს» სტადიონზე იტალიელები პოლონელებს მიიღებენ.**

25 აპრილს დილაადრიანად საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები სტამბულის გავლით ლონდონის გზას გაუდგნენ. სამწუხაროდ, ბოლო მომენტში გაირკვა, რომ ჩვენი ქვეყნის პირველი გუნდი „უემბლიზე" ალბათ, მისი კაპიტნის კახი ცხადაძის გარეშე გამოვა — მან „ალანია" — მოსკოვის „ლოკომოტივის" მატჩში ტრავმა მიიღო და ექიმთა ვარაუდით განკურნების პერიოდი სულ ცოტა ორ კვირას გასტანს. მიუხედავად ამისა, ცხადაძე ლონდონს მაინც გაემგზავრა და ამჟამად ნაკრების ექიმი დიმიტრი ზაალიშვილი ყველა ღონეს ხმარობს, რათა კაპიტანი მწყობრში ჩააყენოს.

გასულ პარასკევს, როცა საქართველოს ნაკრების თვითმფრინავი „ჰითროუს" აეროპორტში დაჯდა, საკვირველი ამბავი მოხდა — ლონდონში თითქმის ორი თვე არ ეწვიმა და მაინცდამაინც მაშინ დასცხო. წვიმდა მომდევნო სამ დღესაც, მაგრამ 30-ში, მატჩის დღეს, სინოპტიკოსები კარგ ამინდს ვარაუდობენ. როგორც იტყვიან, — ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

*ინგლისი-საქართველოს ეროვნული ნაკრებების მატჩს ფრანგ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება რემი ჰარელის, ჟაკ ბუდევანისა და ალან გორდის შემადგენლობით. უეფას დელეგატი ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანტიშეკ რვალოვსკი. იგი „უკომისრებს" აგრეთვე ახალგაზრდული ნაკრებების მატჩს, რომელიც 29 აპრილს გაიმართა. რაკი 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შეხვედრა ვახსენეთ, გაცნობებთ, რომ მას ბელგიელები იმსაჯებენ ერიკ რომეინის, ჟანმარი კლიფენის და კლოდ გრემორის შემადგენლობით.*

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ფრანგი მსაჯები კარგად აქვს დაცდილი: განვლილი ევროპის ჩემპიონატის საქართველო-უელსის 1994 წლის 12 ნოემბრის შესარჩევ მატჩს ხომ ფრანგები — სარსი, კოტრელი და გურო მოემსახურნენ და მაშინ ჩვენებმა სტუმრები დიდი ანგარიშით დაჯაბნეს, 5-0. ღმერთმა ქნას, ქართველებმა „უემბლიზე" ისეთივე აღმაფრენით ითამაშონ, როგორც იმ დღეს!

მაშ, ასე, დღეს დიდი მატჩია. „ინგლისის ნაკრები მაღალნიჭიერ ქართველებს ხვდება" — ასეთი სიტყვებით დაიწყო ბი-ბი-სის ტელეკომენტატორმა ფრენკ სმითმა მომავალი მატჩისადმი მიძღვნილი სპეციალური გადაცემა. ასეთი, ჩემთვის სასურველი შემადგენლობა, რაც ნაკრებს ჩემპიონატის ხელმძღვანელობ, პირველად შევკრიბეთ, ამბობს ჩვეული არისტოკრატიული ღიმილით გლენ ჰოდლი. „ჩვენ ლონდონს საბრძოლველად ჩამოვედით" — აცხადებს დავით ყიფიანი.

ბულგარეთიდან ლონდონში ჩავიდა „ლელოს" კორესპონდენტი ვალერი ომაძე, რომელიც იტყობინება, რომ საქართველოს ნაკრების ბანაკში მშვიდი, საქმიანი ვითარებაა. გუნდი ლონდონის გარეუბანში, სასტუმრო „სოფველ ჰაუსის" მახლობლად მდებარე სტადიონზე ემზადება. თითქმის ყველა მოთამაშე ჯანმრთელადაა, გარდა კახი ცხადაძისა და კახი გოგიჩაიშვილისა. ისინი ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობენ.

ცხადია, ორივე გუნდის მწვრთნელი შემადგენლობის დასახელებას თავს არიდებს, ხალისით არც პროგნოზებს იძლევიან. აი, განთქმულ ლონდონელ ბუკმეიკერებს კი დასამალი არაფერი აქვთ — საქართველოს ნაკრების მოგებაზე დადებულ თითო გირვანქა სტერლინგში თხუთმეტს იძლევიან. ბუკმეიკერები პირველი გოლის კანდიდატად ალან შირერს თვლიან (კოეფიციენტი — 3,25). ქართველებიდან გოლის გამტანებად მიიჩნევენ ქეცბაიას, ქინქლაძეს და შოთა არველაძეს.

**ინგლისის პრემიერ-ლიგაში კვლავ გამოჩნდა ქართველი ლეგიონერი!**

მას შემდეგ, რაც შარშან გიორგი ქინქლაძისა და მიხეილ ყაველაშვილის „მანჩესტერ სიტიმ" პრემიერ-ლიგა დატოვა, თითქმის წელიწადი გავიდა. და აი, გასულ ხუთშაბათს ლონდონის „ჰითროუს" აეროპორტში ათენიდან ჩამოფრენილ თემურ ქეცბაიას „ნიუკასლ იუნაიტედის" კლუბის მანქანა დახვდა, რომელმაც ორსაათნახევარში ჩვენებური ინგლისის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ამ ქალაქში ჩაიყვანა. იმავე საღამოს ქეცბაიამ თავისუფალი აგენტის სტატუსით „ნიუკასლთან" სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ამ გარიგების შესახებ ცნობა საინფორმაციო სააგენტოებმა მეორე დღესვე გაავრცელეს, ხოლო გასულ შაბათს ათენის აეკის კლუბის ოფისი გაბრაზებულმა გულშემატკივრებმა ქვებით დაცხრილეს – ქეცბაია ხელიდან როგორ გაუშვითო.

იხ. მე-5 გვ.

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

**პირველი ჯგუფი**

მართალია, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ინგლისს გაემგზავრნენ, სფფ-ს თამაშები არ გადაუვადებია, პირიქით, 11 მაისს გასამართი XXVI ტური, 29 აპრილისთვის გადმოიტანა. ამ დღეს კალენდარული მატჩები იმ გუნდებმა გამართეს, რომლებსაც ნაკრებში არაუმეტეს ერთი ფეხბურთელისა ჰყავთ. რაც შეეხება შეხვედრებს „დინამო" (თბ.) — „ოდიში", „გორდა" — „ტორპედო" და „სამგურალი" — „დინამო" (ბთ.), ისინი 11 მაისს გაიმართება.

**გუშინ...**

სამტრედია – დილა (გორი) 1-0
კოლხეთი-1913 (ფოთი) – სიონი (ბოლნისი) 4-0
მარგვეთი (ზესტაფონი) – ივერია (ხაშური) 1-2
მერანი-91 (თბილისი) – თსუ-შევარდენი (თბილისი) 4-2
კახეთი (თელავი) – გურია (ლანჩხუთი) 4-2

აი, როგორ გამოიყურება დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა:

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბილისი) | 22 | 18 | 3 | 1 | 72-18 | 57 |
| დინამო (ბათუმი) | 23 | 15 | 6 | 2 | 54-13 | 51 |
| კოლხეთი-1913 (ფოთი) | 24 | 15 | 4 | 5 | 51-22 | 49 |
| მერანი-91 (თბილისი) | 24 | 13 | 6 | 5 | 37-23 | 45 |
| ტორპედო (ქუთაისი) | 23 | 12 | 3 | 8 | 57-44 | 39 |
| ოდიში (ზუგდიდი) | 23 | 11 | 1 | 11 | 41-33 | 34 |
| მარგვეთი (ზესტაფ.) | 23 | 10 | 1 | 12 | 36-49 | 31 |
| გურია (ლანჩხუთი) | 24 | 9 | 3 | 12 | 29-49 | 30 |
| დილა (გორი) | 24 | 7 | 7 | 10 | 22-28 | 28 |
| სამტრედია | 24 | 8 | 2 | 14 | 24-44 | 26 |
| სიონი (ბოლნისი) | 24 | 7 | 5 | 12 | 17-30 | 26 |
| თსუ-შევარდენი (თბ.) | 24 | 6 | 8 | 10 | 31-32 | 26 |
| გორდა (რუსთავი) | 23 | 7 | 2 | 14 | 30-43 | 23 |
| სამგურალი (წყალტ.) | 23 | 6 | 4 | 13 | 21-44 | 22 |
| ივერია (ხაშური) | 24 | 5 | 6 | 13 | 18-40 | 21 |
| კახეთი (თელავი) | 24 | 8 | 1 | 15 | 20-47 | 20 |

**ამრიგად, კოლხებმა და მერანელებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ევროტურნირების საგზურების მოსაპოვებლად. ძალზე ცხარე ბრძოლა გაჩაღდა ცხრილის ქვედა ნაწილში: „ივერიამ" და „კახეთმა" 3-3 ქულა ჩაიწერეს და პირველ ჯგუფში დარჩენის იმედები შეინარჩუნეს. რაც შეეხება სამტრედიელებს, მათ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს მდგომარეობა და სახიფათო ზონას გასცდნენ.**

მორიგი ტურის მატჩები გაიმართება 3 და 4 მაისს.

# ადამიანო, შენ თუ რობოტი?

**ამ ათიოდე წლის წინათ დიდოსტატებს წინადადებას აძლევდნენ ეთამაშათ ამა თუ იმ კომპიუტერთან. დიდოსტატები ირონიულადიყვნენ განწყობილნი ამ ავტომატების თუ რობოტების მიმართ, მაგრამ ზოგჯერ გამოწვევას იღებდნენ და ამ კომპიუტერებს უწყალოდ უსწორდებოდნენ.**



გარი კასპაროვი

კომპიუტერების შემდგენლები მაინც არ ყრიდნენ ფარ-ხმალს. ისინი თანდათან აუმჯობესებდნენ პროგრამას, სძლიეს რამდენიმე ცნობილ ოსტატს. მალე მსოფლიო მოიარა სენსაციურმა ცნობამ — ერთ-ერთმა კომპიუტერმა დიდოსტატსაც კი მოუგო, კერძოდ, განთქმულ დანიელ მოჭადრაკე ბენტ ლარსენს.

დიახ, სხვა დრო დადგა. 1990 წელს პროგრამა „Deep Thought"-ის ავტორებმა მატჩში თვით მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი გამოიწვიეს, თუმცა გამოირკვა, რომ ძალები ამ მომენტისათვის აშკარად არათანაბარი იყო და კასპაროვი ისე ეთამაშებოდა კომპიუტერს, როგორც კატა — თაგვს. გავიდა კიდევ რამდენიმე წელი. „Deep Thought"-ის გაუმჯობესებული ვარიანტის „Deep Blue"-ს ავტორებმა ისევ გამოიწვიეს მატჩში მსოფლიო ჩემპიონი. ავტომატის შექმნაში რამდენიმე სპეციალისტი მონაწილეობდა, რომლებმაც კარნეგი — მელონის უნივერსიტეტი დაამთავრეს. ესენი იყვნენ „ელექტრონული ტვინის" კონსტრუქტორი ფენგ სიუ (ტაივანი); მისი ასისტენტი ანდრეას ნოვაციკი (ავსტრია), ინდოელი თომას ანანტარამანი და წმინდა საჭადრაკო საკითხებისათვის პასუხისმგებელი კანადელი მიური კემპბელი, რომელიც კარგი ოსტატის ძალით თამაშობს. შემდეგ მათ შეუერთდა პროგრამისტი ჯოზეფ ჰ ოუენი, რომელმაც კორპორაცია IBM-ის ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში რამდენიმე წელი იმუშავა. „დიპ ბლიუს" ორი ოთახი ეკავა, მისი სადმე გადატანა ურთულესი ამოცანა იყო. ერთ წამში მას შეეძლო 200 მილიონი პოზიციის „გააზრება", ისე რომ, ფიქრობდნენ — კასპაროვს ცუდი დღე დაადგებოდა.

მატჩი, რომელიც ექვსი პარტიისაგან შედგებოდა, 1996 წლის თებერვალში ფილადელფიაში გაიმართა და მართლაც კინაღამ კასპაროვის დამარცხებით არ დამთავრდა. საყურადღებოა, რომ პირველი პარტია მოიგო „დიპ ბლიუმ" და ფილადელფიის „კონვენშნ-ცენტრში" მისული გულშემატკივრების დიდი აღტაცება გამოიწვია. კასპაროვმა, რომელსაც მკვდრის ფე-

იხ. მე-4 გვ.

საქართველოს სპორტული რუკა

# შალვა გაბუნია ვანში სამბოს გუშაგად უდგას

## გზის ფული და 2-2 ლარი ანონვაში, ესეც თუ პრობლემაა, აღარ ყოფილა ქართული სპორტის საშველი

ადრე არაერთხელ გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ: სპორტის ამა თუ იმ სახეობის ბედს პერიფერიაში ძირითადად სპეციალისტები წყვეტენ. ასე მოიქცა თავის დროზე ფეხი ჰიათურაში ცურვამ, სენაკში — რაგბმა, ახალციხეში — მძლეოსნობამ, რუსთავში — კალათბურთმა, ახალქალაქში და გორის რაიონებში — კრივმა... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ასე გაჩნდა ამ რამდენიმე წლის წინათ სამბო ვანში. ენთუზიასტმა მწვრთნელებმა, თითქმის უმნიშვნელო გასამრჯელოდ და ურთულეს პირობებში, მაგრამ სიყვარულით აზიარეს ახალგაზრდები სპორტით მინიჭებულ სიხარულს.

შალვა გაბუნია უამრავი წინააღმდეგობის გადალახვას არ შეუშინდა და სამბოს მოყვარული მოზარდები, რომლებიც მან ირგვლივ შემოიკრიბა, შუა გზაში არ მიატოვა. უჭირს, დღესაც უჭირს მწვრთნელს, ხანდახან იმდენად უჭირს, შეჯიბრებაზე რომ ბავშვი გამოიყვანოს ასაწონი ფული არა აქვთ (თითოეული მონაწილის აწონვა თურმე 2 ლარი ღირს. აფერუმ, საბაზრო ეკონომიკის ასეთი მიმდევრების პრინციპულობას).

შარშან ვანელი გიგა ჰიჭეიშვილი სამბოში ევროპის პრიზიორი გახდა იუგოსლავიაში, მსოფლიოს პირველობაზე კი ხარკოვში მეოთხე იყო, მანამდე, 1995 წელს ევროპის პირველობაზე დაკავებული მეოთხე ადგილით ეზიარა საერთაშორისო არენას. ამას წინათ, ვანში სტუმრობისას დავრწმუნდით, რომ ამ პატარა რაიონში მართლა უნიჭიერესი მოზარდები არიან. ისინი აუტანელ პირობებში (თუნდაც სიცივე და უშუქობა) შეუპოვრად ვარჯიშობენ, ასე შთააგონეს მათ აღმზრდელებმა, პირველ ყოვლისა, კი თავდადების პირადი მაგალითით.

გავესაუბრეთ რამდენიმე სამბისტს და ყველა მათგანი ერთნაირ გულისტკივილს გამოთქვამდა: „აი, ვემზადებით, ვემზადებით და სადღაც შეჯიბრებაზე ხომ უნდა გამოვცადოთ თავი". გამოდის, რომ ბავშვებს ასპარეზობა, თანატოლებთან პაექრობა ენატრებათ, მერედა, რა უშლით ხელს? ესეც დავაზუსტეთ — თანადგომა, ზოგჯერ თუნდაც ავტობუსის ფული, რათა შეჯიბრებაზე ჩავიდნენ ქუთაისში ან თბილისში.

ამ და ზოგიერთი სხვა პრობლემის თაობაზე გვსურდა რაიონის ხელმძღვანელობის აზრი მოგვესმინა (პოზიცია ცნობილია, ისინი ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ რაიონში სპორტული ტრადიციების აღდგენა-გაღრმავება აუცილებელი და საშური საქმეა), მაგრამ დათქმული შეხვედრა, სამწუხაროდ, არ შედგა. თუმცა, მთავარი ეს არ არის. მთავარია, რაც შეიძლება მეტი და მეტი ვანელები ვიხილოთ საქართველოს პირველობებში და სპორტის სხვადასხვა სახეობაში. რაიონის ხელმძღვანელობასთანაც ორიოდე სიტყვით ამის თქმას ვაპირებდით.

**თ. თომაშვილი**

„ლელოს" სპეც. კორ., ვანი.

პროფკავშირები და სპორტი

# მუშაობენ და ელიან ჯამაგირს, მაგრამ ვაი, რომ უსაზღვროა მათი მოლოდინი!

SOS

სიტყვები „სპორტი" და „პროფკავშირები" საბჭოთა კავშირის პირობებში ლამის სინონიმებად იქცა. ქვეყნის სპორტულ ინდუსტრიაში მშრომელთა ინტერესების დამცველი ეს სოლიდური ორგანიზაცია ლომის წილს სდებდა, ჰქონდა უმაღლესი კატეგორიის სპორტული ბაზები, ჰყავდა ასევე უმაღლესი კლასის გუნდები თუ სპორტსმენები. აფინანსებდა სპორტულ სკოლებს, მახობრივ სპორტულ მუშაობას თუ შეჯიბრებებს. რაღა თქმა უნდა, ყველაფერ ამას უძღვებოდა პროფკავშირული „შტაბები" — სპორტული საზოგადოებები, რომელთა ბედი, ყოველ შემთხვევაში საქართველოში ეს აშკარაა, დღესაც გაურკვეველია ძველი სისტემის დაშლის შემდეგ. ჩვენშიც ბევრი რამ შემორჩა „პროფკავშირული", მაგრამ რად გინდა, მხოლოდ სახელი ჰქვია პატრონს რომ მიანიშნებს, თორემ რეალურად, საქმით სრული უპატრონობაა, — მოუხელელი ნაგებობა ბოლოს და ბოლოს დაინგრევა და ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ რა ქნან ადამიანებმა თვეობით რომ ელოდებიან ჯამაგირს და ამაოდ რომ იყურებიან მაღალი პროფკავშირული ჩინოსნებისკენ მოწყალების მოლოდინში? განსაკუთრებით ცუდ დღეში არიან პროფკავშირული სპორტული სკოლები, რომლებსაც არც გასაქირავებელი აქვთ რაიმე და არც დასაგირავებელი, რადაც „მარცხენა" შემოსავალი მაინც რომ მიიღონ. ისინი ხელფასზე ცხოვრობენ, თავიანთ საქმეს რწმენით და იმ იმედით ემსახურებიან, რომ აი, სადაცაა, ფინანსების განმკარგულებლები მათკენაც გაიხედავენ და ხალხის შემოსავლებიდან მიღებულ თანხებს იხევ ხალხის შეილების საკეთილდღეოდ თუნდაც იმ მცირედს დააბრუნებენ, რასაც დღევანდელი ჯამაგირი ჰქვია.

ინფორმაცია ყველასათვის

# ლევან კენჭაძის გონივრული გადაწყვეტილება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსის ლევან კენჭაძის განკარგულებით „ახალი კანონმდებლობის მიღებამდე საგზაო პოლიციის სამსახურმა არ განახორციელოს ზემოქმედება ღვედებზე, აფთიაქებზე და მარკირებაზე". მიხვდით ალბათ, მძღოლებს ჯერჯერობით ვერც ერთი საგზაო პოლიციელი ვეღარ წაუყენებს პრეტენზიას, რაც ღვედებთან, მანქანის სალონის აფთიაქთან და მარკირებასთანაა დაკავშირებული.

საავგენტო გუმათი — „ლელო"

მიმდინარეობს სტუდენტური დღეები





თბილისში მიმდინარეობს და 26 მაისს დასრულდება ტრადიციული სტუდენტური დღეები, რომლის პროგრამაში სპორტი ხავრიელადაა წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში ახალი საზაფხულო საჭიდაო არენა გაიხსნა და პირველებმა ამავე აკადემიის სტუდენტებმა იასპარეზეს ქართულ ჭიდაობაში. საჭიდაო სარბიელის გახსნაზე ცნობილი დამკვრელებიც კი მოიწვიეს სოფელ ხოვლედან.

აკადემიის სტუდენტებისთვის სტუდენტური დღეები IV სართულის ფოიეში ცნობილი ფოტოჟურნალისტის ალექსანდრე კოტორაშვილის ნამუშევრების გამოფენით გაიხსნა. წარმოდგენილი იყო ფოტოხელოვანის 60 საუკეთესო კადრი, რომელიც ოლიმპიური ატლანტის დღევბს ასახავს.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ჩვენებურები უცხოეთში

# შინ თუ არ დააფასეს, სხვაგან დააფასებენ...

რედაქციას ხშირად მომართავენ თხოვნით სპორტის გულშემატკივრები, რომელთაც სურთ იცოდნენ ჩვენი თანამემამულე სპორტსმენები და მწვრთნელები სად, რომელ ქვეყანაში მოღვაწეობენ. ფეხბურთელების შესახებ თითქმის ყველამ ყველაფერი იცის, დანარჩენების ამბები კი ჩვენც ყურმოკვრით გვესმის და მხოლოდ ფაქტების გადამოწმების შემდეგ შეგვიძლია ჩვენს მკითხველებს მივაწოდოთ უტყუარი ცნობები. დღეს ერთი მათგანის სოსო ელბაქიძის შესახებ მოგაწვდით ინფორმაციას.

## სოსო ელბაქიძე

დაიბადა თბილისში. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. ყმაწვილობიდან ვარჯიშობდა წყალში ხტომაში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ალექსანდრე ბართაიასთან. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის თასის მფლობელი, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი, მერე მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. მოამზადა ქართველი ოლიმპიელი გოჩა გახარია. ატლანტის ოლიმპიადაზე, როგორც ჩანს, სოსომ გამონახა კონტაქტები იქაურ სპეციალისტებთან და სპორტის ხელმძღვანელებთან, რამდენიმე თვის წინათ გადავიდა კიდეც იქ სამუშაოდ. როგორც შევიტყვეთ, სოსოს მიუღია მწვრთნელად მუშაობის უფლება, რაშიაც გადამწყვეტი როლი შეუსრულებია მის უმაღლეს სპორტულ განათლებას და იმას, რომ იგი ოლიმპიელის აღმზრდელია.

თბილისის მოსწავლეთა 51-ე სპარტაკიადა

კვარცხლბეკი

### ფარიკაობა

ბიჭები: **ხმალი:** 1. ზვიად ბექაური (ვაკის რ-ნი), 2. ლევან ჩიქოვანი (საბურთალო), 3. დავით მთვარელიძე (ვაკე);
**რაპირა:** 1. გიორგი სანადირაძე (დიდუბე), 2. ვალერი თავაძე (ჩუღურეთი), 3. ალექსანდრე სანადირაძე (დიდუბე);
**დაშნა:** 1. სერგო ხატიაშვილი (ვაკე), 2. ალექსანდრე ჩაჩანიძე (დიდუბე), 3. დავით მჭედლიძე (ისანი).
გოგონები. **რაპირა:** 1. რუსუდან მაჩიტაძე, 2. თინათინ ქარჩავა, 3. ირმა ფაჩულია (სამივე — ვაკის რაიონი);
**დაშნა:** 1. ეთერ მახვილაძე, 2. თეა მორჩიაშვილი, 3. თამარ რეხვიაშვილი (სამივე — ვაკე).
**საერთო გუნდური ჩათვლა:** 1. ვაკე — 126 ქულა, 2. სამგორი — 100, 3. საბურთალო — 85.

### თავისუფალი ჭიდაობა

**42 კგ:** 1. გია გაბრიელაშვილი (ნაძალადევის რ-ნი), 2. რეზო მახარაშვილი (საბურთალო), 3. ნუკრი ჭილაძე (დიდუბე).
**45 კგ:** 1. ალექსანდრე პატარქალაშვილი, 2. შალვა ქუსნიაშვილი (ორივე — ნაძალადევი), 3. გელა სულხანიშვილი (გლდანი).
**48 კგ:** 1. გიორგი ქეთიშვილი (ნაძალადევი), 2. ივანე ქართლელიშვილი (გლდანი), 3. ზურაბ სუთიაშვილი (კრწანისი).
**52 კგ:** 1. გიორგი ქართლელიშვილი (გლდანი), 2. არჩილ გიგაური (დიდუბე), 3. გელა სალირაშვილი (გლდანი).
**57 კგ:** 1. უჩა ყრიმელი (გლდანი), 2. კობა ებითაძე (კრწანისი), 3. ზაზა ურუშაძე (ისანი).
**63 კგ:** 1. მიხეილ ჩიქოვანი (ნაძალადევი), 2. ოთარ ბაირამაშვილი, 3. ალექსანდრე თოდაძე (ორივე — გლდანი).
**69 კგ:** 1. მიხეილ ბაგაური (ჩუღურეთი), 2. ოთარ ბერიაძე, 3. შოთა ტურაშვილი (ორივე — ნაძალადევი).
**76 კგ:** 1. შოთა შოლოლაშვილი (ჩუღურეთი), 2. გოჩა ბანდურაშვილი, 3. შმაგი ჩოხელი (ორივე — გლდანი).
**83 კგ:** 1. ირაკლი კალანდაძე, 2. გიორგი არელაძე (ორივე — გლდანი).
**95 კგ:** 1. ზურაბ ბილინაშვილი (გლდანი), 2. უჩა ჩაგელიშვილი (ჩუღურეთი), 3. ნუკრი სიხარულიძე (გლდანი).

ველოსპორტი საქართველოს ველოფედერაციის ღია პირველობა

# გაზაფხული რბოლის ხანაა

წელიწადის ამ დროს იწყება ველოსპორტის სამყაროს სისხლსავსე ცხოვრება და სტარტი სტარტს მისდევს. განსაკუთრებული გამოცოცხლება კი შავიზღვისპირა კურორტ სოჭის ტრასებზეა, სადაც მიმდინარეობს ქალაქის ტრადიციული საგაზაფხულო რბოლა. იგი იმავდროულად კარსმომდგარი დიდი შეჯიბრებებისათვის სამზადისი და ძალთა შემოწმებაცაა.

აი, ჩვენში კი სპორტის ამ სახეობაზე ვერ იტყვის კაცი „მიჭქფარეაო" — აშკარად ეკაჭიროება „დონორი", რომელიც ფეხზე წამოაყენებს ჩვენთვის სპორტის ამ ტრადიციულ სახეობას. სამწუხაროდ, ასეთი „დონორი" ჯერჯერობით არ ჩანს და, რომ იტყვიან, იგი საკუთარ წვენში იხარშება, რაც დიდად ვერ გამოაცოცხლებს მას.

თავად განსაჯეთ, საქართველოს ველოფედერაციის ღია პირველობაზე, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, 30 მონაწილე იყო. ცხადია, პროგრამაც საკმაოდ „შილიფად" გამოიყურებოდა — სულ ორად-ორი ეტაპი. პირველი ეტაპი (დროზე) გაიმართა მარშრუტით — თბილისი-კოჯორი. საუკეთესო შედეგი ქობულეთელ ლევან მესხიძეს („შევარდენი") აღმოაჩნდა — 26.12. მეორე ადგილზე გავიდა მიხეილ მურადოვი (26.18), მესამეზე იური გრიგორიანი (27,34, ორივე — თბილისის განათლების სამმართველო).

მეორე ეტაპი იყო თბილისი-წითელი ხიდი-თბილისი. რუსთავის მისადგომებთან, აღმართზე დაწინაურდა ოთხკაციანი ჯგუფი, რაც გაამწვავებდა ბრძოლას, მაგრამ დისტანციის შუა მონაკვეთზე ერთ-ერთ მათგანს, ი. გრიგორიანს, დაუზიანდა ველოსიპედი და გამოაკლდა პრიზიორების პრეტენდენტებს. ფინიშზე პირველი აქაც ლ. მესხიძე იყო. მას მიჰყვნენ გიორგი მგელაძე (თბილისის განათლების სამმართველო) და გია ბულბულოვი (თბილისის „შევარდენი").

საქართველოს ნაკრები თურქეთის საერთაშორისო ასპარეზობისათვის ემზადება.

**ავთანდილ გუნია,**

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ჯგუფი XXIII ტური

### მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**თსუ-შევარდენი (თბილისი) – სამგურალი (წყალტუბო) 5-0**
*თსუ:* ბათიაშვილი, ქორიძე, ვერემჩუკი, კობიაშვილი, თელიაშვილი, კანკავა, მინდიაშვილი (გაგუა), კობესაშვილი (ჩიგოშვილი), ჩუხუა, მელქაძე, როსტიაშვილი (გვაზავა).
*სამგურალი:* ქვაჩახია (თევზაძე), ქობულაძე, ჯანელიძე (ბრეგვაძე), კოღუაშვილი, გოგელიძე, ძაგნიძე, გელაშვილი, ფხაკაძე, კვარაცხელია, ხურცილავა, ჯანაშია (თევდორაძე).
*გოლები:* ჩუხუა (7), ქორიძე (43, 65), როსტიაშვილი (50, 62).
*მსაჯი:* ე.სილაგავა.

**გორდა (რუსთავი) – სამტრედია 2-0**
*გორდა:* კოროშინაძე, ლაბაძე (კარანაძე), ბექაური, პატარიძე, სახვაძე, გაბელაია, მელაძე, არსოშვილი, ბერიძე, კალუგა (თ. მუშკუდიანი), ჩელებაძე (ალადაშვილი).
*სამტრედია:* ჩაჩუა, ანჯაფარიძე, გეგეშიძე, ლორია, პაპელიაშვილი, ცომაია (ფხაკაძე), ჩომახიძე (ვეკუა), ჭელიძე, მარკოზია, ივეჩიანი, ფრანგიშვილი.
*გოლები:* მელაძე (21, პენ.), პატარიძე (58).
*გააფრთხილეს:* მარკოზია.
*მსაჯი:* შ. ხანიაშვილი.

**ივერია (ხაშური) – კახეთი (თელავი) 0-2**
*ივერია:* აბაშიძე, ნეკერაშვილი, შ. ლაცაბიძე, ჭაჭუა, ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ტყემალაძე (ზირაქაძე), ქეთელაური (ლომიძე), კალმახელიძე (ვეშაპიძე), წიწივაძე, თორია.
*კახეთი:* ასლანიძე (აქსაშვილი), ალადაშვილი, წიკლაური, ტარუღაშვილი, ჯიკაევი, ფოფხაძე, მაზანიშვილი (ნაკუდაიძე), ჯაშიაშვილი, შონია, ბაბულაიძე, ტოკლიკაშვილი (ღვინიაშვილი).
*გოლები:* ბაბულაიძე (20, პენ.) მაზანიშვილი (25).
*გააფრთხილეს:* ჯიკაევი, ბაბულაიძე.
*მსაჯი:* ო. გუნთაძე (ლანჩხუთი).

**ტორპედო (ქუთაისი) – მარგვეთი (ზესტაფონი) 5-2**
*ტორპედო:* კიკალეიშვილი, ხვადაგიანი, ჯინჭარაძე, ხუჯაძე, სადილიანი, მარღიშვილი (ლომაძე), კვეტენაძე, ქებაძე (მეტრეველი), გ. მეგრელაძე (შენგელია), აშვეთია, ვაჩიბერაძე.
*მარგვეთი:* გვენცაძე, ლანჩავა, გურიელიძე, ჭელიძე, ღონღაძე, კაციაშვილი, მოსიკაშვილი, გეწაძე, უგულავა (სულაკაძე), უკლება (მალაღურაძე), გუბელაძე (შავგულიძე).
*გოლები:* 1-0 ვაჩიბერაძე (25), 1-1 უკლება (47), 2-1 კვეტენაძე (64), 3-1 აშვეთია (70), 4-1 შენგელია (75), 5-1 კიკალეიშვილი (78, პენ.), 5-2 მოსიკაშვილი (83).
*გააფრთხილეს:* ღონღაძე.
*მსაჯი:* მ. კობიაშვილი.

**დილა (გორი) – დინამო (თბილისი) 0-1**
*დილა:* ეოლკოევი, ციცქიშვილი, ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ხ. გაგნიძე, მარეხაშვილი, მჭედლიშვილი, რევაზიშვილი (კაიდარაშვილი), ფხალაძე (ხორგუაშვილი), გ. გვაზავა.
*დინამო:* ზოიძე, კალაძე, ზ. ჯელაძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (დიმიტრიშვილი), ცქიტიშვილი, ხომერიკი (კერძევაძე), ანჩაბაძე, დემეტრაძე (ყიზილაშვილი).
*გოლი:* ხომერიკი (35).
*მსაჯი:* პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი).

**დინამო (ბათუმი) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 1-0**
*დინამო:* ტოგონიძე, ი. მახარაძე (კანტიძე), მინდაძე (შანიძე), სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, ტუღუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი.
*კოლხეთი-1913:* გოგუა, მიქაბერიძე, კაკაჩია, გიორგაძე, გოროზია, ღლანიძე, ინიაშვილი, დ. მახარაძე, სოლოღაშვილი, დარასელია, მ. ქობულაძე.
*გოლი:* უჯმაჯურიძე (61, პენ.).
*გააფრთხილეს:* ინიაშვილი, მიქაბერიძე, ტუღუში, ღლონტი.
*მსაჯი:* სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).



### მინიფეხბურთი

## „მგლებს" ჩემპიონობა სურთ

***3 მაისს „იმედის" სპორტკომპლექსში დაიწყება საქართველოს მეოთხე ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში. მასში მონაწილეობას მიიღებს რვა გუნდი.***

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ წინა შეჯიბრებებში იმარჯვა თბილისის „ვაკემ" და ორჯერ — ბაღდადის „ბაასმა", „ბაასმა" სახელი შეიცვალა და „მგლები" დაერქვა; ახალი მეპატრონის — საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დაცვის დეპარტამენტის ინტერესების, გათვალისწინებით ამ უწყებას აქვს საკუთარი ემბლემა, რომელზედაც გამოხატულია მგელი — საზღვრების დაცვის სიმბოლო.

ამას წინათ საქართველოს უძლიერესმა გუნდმა ბაქოს მეხუთე საერთაშორისო ტურნირშიც იასპარეზა. მასთან ერთად იქ გამოდიოდა — თურქეთის, ირანის, რუსეთისა და აზერბაიჯანის გუნდები. „მგლებმა" ხუთი მატჩი მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და მხოლოდ მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებთან დამარცხდნენ. საბოლოოდ ქართულმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა.

„მგლების" პრეზიდენტმა მერაბ გრძელიძემ „ლელოს" კორესპონდენტს განუცხადა, რომ გუნდი გაცხოველებით ემზადება საქართველოს ჩემპიონატისათვის და მიზნად აქვს დასახული მესამედ გახდეს ქვეყნის რჩეული კოლექტივი.

## „ლელოს" საფეხბურთო ანონსი ⚽ მაისში

### საქართველოს მერვე ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მეფინალე

## გათამაშების კალენდარი

### უმაღლესი ლიგა

**XXIV ტური, 3 მაისი, შაბათი**
მერანი-91 — ივერია

**4 მაისი, კვირა**
დინამო (თბ) — ოდიში
მარგვეთი — დილა
კოლხეთი-1913 — ტორპედო
სამგურალი — გორდა
კახეთი — სიონი
გურია — თსუ-შევარდენი
სამტრედია — დინამო (ბთ)

**XXV ტური, 8 მაისი, ხუთშაბათი**
გურია — სამგურალი
თსუ-შევარდენი — კახეთი
ოდიში — მარგვეთი
დილა — კოლხეთი-1913
ტორპედო — სამტრედია
ივერია — დინამო (თბ.)
დინამო (ბთ.) — გორდა
სიონი — მერანი-91

**XXVI ტური, 11 მაისი, კვირა**
სამგურალი — დინამო (ბთ.)
გორდა — ტორპედო
სამტრედია — დილა
კოლხეთი-1913 — სიონი
მარგვეთი — ივერია
დინამო (თბ.) — ოდიში
მერანი-91 — თსუ-შევარდენი
კახეთი — გურია

**XXVII ტური, 14 მაისი, ოთხშაბათი**
გურია — მერანი-91
კახეთი — სამგურალი
დინამო (თბ.) — თსუ-შევარდენი
ოდიში — მარგვეთი
ივერია — კოლხეთი-1913
სიონი — სამტრედია
დილა — გორდა
ტორპედო — დინამო (ბთ.)

**XXVIII ტური, 18 მაისი, კვირა**
სამგურალი — ტორპედო
დინამო (ბთ) — დილა
გორდა — სიონი
სამტრედია — ივერია
კოლხეთი-1913 — ოდიში
მარგვეთი — თსუ-შევარდენი
გურია — დინამო (თბ.)
მერანი-91 — კახეთი

**XXIX ტური, 22 მაისი, ხუთშაბათი**
მერანი-91 — სამგურალი
კახეთი — დინამო (თბ.)
გურია — მარგვეთი
თსუ-შევარდენი — კოლხეთი-1913
ოდიში — სამტრედია
ივერია — გორდა
სიონი — დინამო (ბთ.)
დილა — ტორპედო

**26 მაისი, ორშაბათი**
*საქართველოს თასის ფინალი*

**XXX ტური, 30 მაისი, პარასკევი**
სამგურალი — დილა
ტორპედო — სიონი
სამტრედია — თსუ-შევარდენი
დინამო (ბთ.) — ივერია
გორდა — ოდიში
კოლხეთი-1913 — გურია
მარგვეთი — კახეთი
დინამო (თბ.) — მერანი-91

### აღმოსავლეთი ზონა

**XXXIV ტური, 4 მაისი, კვირა**
ლოკომოტივი — არმაზი
შსს აკადემია — იბერია
დურუჯი — ქინერი
დინამო-2 — შირაქი

**5 მაისი, ორშაბათი**
მრეტები — ცხინვალი
თორი — კოდაკო
მორკინალი — ჭაბუკიანი
ენერგეტიკოსი — 35-სტუ
ასკ — თსუ-2

**XXXV ტური, 9 მაისი, პარასკევი**
მრეტები — ლოკომოტივი
იბერია — ასკ
ენერგეტიკოსი — თსუ-2
ცხინვალი — კოდაკო
მესხეთი — დურუჯი
შირაქი — მორკინალი
შსს აკადემია — არმაზი

**10 მაისი, შაბათი**
ჭაბუკიანი — 35-სტუ
ქინერი — დინამო-2

**XXXVI ტური, 14 მაისი, ოთხშაბათი**
ლოკომოტივი — შსს აკადემია
ენერგეტიკოსი — იბერია
დურუჯი — თორი
დინამო-2 — მესხეთი

**15 მაისი, ხუთშაბათი**
არმაზი — ასკ
ჭაბუკიანი — თსუ-2
35-სტუ — შირაქი
მორკინალი — ქინერი
კოდაკო — მრეტები

**XXXVII ტური, 19 მაისი, ორშაბათი**
კოდაკო — ლოკომოტივი
იბერია — ჭაბუკიანი
მესხეთი — მორკინალი
ქინერი — 35-სტუ
თსუ-2 — შირაქი

**20 მაისი, ხამშაბათი**
ცხინვალი — დურუჯი
ასკ — შსს აკადემია

### მეორე ჯგუფი

თორი — დინამო-2
ენერგეტიკოსი — არმაზი

**XXVIII ტური, 23 მაისი, პარასკევი**
ლოკომოტივი — ასკ
35-სტუ — მესხეთი
ჭაბუკიანი — არმაზი
შირაქი — იბერია
მორკინალი — თორი
დინამო-2 — ცხინვალი
დურუჯი — მრეტები
ქინერი — თსუ-2

**24 მაისი, შაბათი**
შსს აკადემია — ენერგეტიკოსი

**XXXIX ტური, 27 მაისი, ხამშაბათი**
ენერგეტიკოსი — ასკ
მრეტები — დინამო-2
ცხინვალი — მორკინალი
თორი — 35-სტუ
თსუ-2 — მესხეთი
იბერია — ქინერი

**28 მაისი, ოთხშაბათი**
კოდაკო — დურუჯი
არმაზი — შირაქი
შსს აკადემია — ჭაბუკიანი

### დასავლეთი ზონა

**XXVIII ტური, 4 მაისი, კვირა**
სალხინო — სამეგრელო
მამისონი — მერცხალი

**5 მაისი, ორშაბათი**
კახაბერი — ოდიში-2
მაღაროელი — კოლხეთი-2
ოლიმპია — მეშახტე
ტორპედო-2 — საპოვნელა
სულორი — იმერეთი
ეგრისი — სქური

**XXIX ტური, 9 მაისი, პარასკევი**
საპოვნელა — სალხინო
იმერეთი — მამისონი
სამეგრელო — ეგრისი
სქური — მაღაროელი
კოლხეთი-2 — კახაბერი
ოდიში-2 — სულორი
მერცხალი — მეშახტე
დინამო-2 — ოლიმპია

**XXX ტური, 15 მაისი, ხუთშაბათი**
ოლიმპია — მერცხალი
მეშახტე — იმერეთი
მამისონი — ოდიში-2
სულორი — კოლხეთი-2
კახაბერი — სქური
მაღაროელი — სამეგრელო
ეგრისი — საპოვნელა
ტორპედო-2 — დინამო-2

**XXXI ტური, 19 მაისი, ორშაბათი**
ტორპედო-2 — ოლიმპია
დინამო-2 — სალხინო
საპოვნელა — მაღაროელი
სამეგრელო — კახაბერი
კოლხეთი-2 — მამისონი
სქური — სულორი
ოდიში-2 — მეშახტე
იმერეთი — მერცხალი

**XXXII ტური, 23 მაისი, პარასკევი**
ოლიმპია — იმერეთი
მამისონი — სქური
სულორი — სამეგრელო
ეგრისი — დინამო-2
მერცხალი — ოდიში-2
მეშახტე — კოლხეთი-2
კახაბერი — საპოვნელა
სალხინო — ტორპედო-2

**XXXIII ტური, 27 მაისი, ხამშაბათი**
სალხინო — ოლიმპია
დინამო-2 — მაღაროელი
სამეგრელო — მამისონი
საპოვნელა — სულორი
სქური — მეშახტე
ტორპედო-2 — ეგრისი
კოლხეთი-2 — მერცხალი
ოდიში-2 — იმერეთი

**XXXIV ტური, 31 მაისი, შაბათი**
მერცხალი — სქური
მეშახტე — სამეგრელო
ეგრისი — სალხინო
ოლიმპია — ოდიში-2
იმერეთი — კოლხეთი-2
მამისონი — საპოვნელა
მაღაროელი — ტორპედო-2
კახაბერი — დინამო-2

### 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

7 მაისი. უკრაინა — სომხეთი
18 მაისი. ესტონეთი — ლატვია
21 მაისი. სლოვაკეთი — ჩეხეთი
31 მაისი. პოლონეთი — ინგლისი

FRANCE 98

### UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები ფინალები

**უეფას თასი**
7 მაისი. შალკე-04 (გერმანია) — ინტერი (იტალია)
21 მაისი. ინტერი (იტალია) — შალკე-04 (გერმანია)

**ჩემპიონთა ლიგა**
28 მაისი. ბორუსია (გერმანია) — „იუვენტუსი" (იტალია).
*მატჩი მიუნხენში გაიმართება.*

**თასების თასი**
14 მაისი. ბარსელონა (ესპანეთი) — „პარი სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი).
*შეხვედრა როტერდამში ჩატარდება.*

ჭადრაკის სამყაროში



მაია ჩიბურდანიძე



ნანა იოსელიანი



ქეთევან არახამია

## ევროპის გუნდური პირველობა 33 ქვეყნის მონაწილეობით

**33-მა ქვეყანამ წარადგინა თავისი განაცხადი ჭადრაკში ევროპის გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 5 მაისს იწყება ხორვატიის ქალაქ პულაში ადრიატიკის სანაპიროზე და 15 მაისამდე გასტანს**

ქალთა ასპარეზობაში 20 გუნდი მონაწილეობს, ამასთან, მთავარ ფავორიტად საქართველოს ნაკრები ითვლება (მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია). უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მოჭადრაკეებს არანაკლები მძიმე ბრძოლა მოელით, ვიდრე ვთქვათ, ერევნის საერთაშორისო ოლიმპიადაზე. აქ საქმეს ის ართულებს, რომ ოლიმპიადისაგან განსხვავებით, ქალთა გუნდებში სულ ორი დაფაა. საკმარისია ერთი წაბორძიკებაც კი და მატჩის ბედი სათუო ხდება, როგორც იყო, თუნდაც ევროპის წინა ჩემპიონატში, სადაც ჩვენს ნაკრებს უკანასკნელ მომენტში უკრაინის გუნდმა გაუსწრო.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ბიულეტენმა „ფიდე ფორუმმა" გამოაქვეყნა ზოგიერთი ნაკრების წინასწარი შემადგენლობები, სადაც ბევრ საყურადღებოს ვკითხულობთ. როგორც ყოველთვის, გერმანიის ნაკრებში პირველ დაფაზე თამაშობს ქეთევან კახიანი, ბელორუსიის გუნდში მეორე დაფაზეა ჰენრიეტა ლაგვილავა (ყოფილი ქუთაისელი საერთაშორისო ოსტატი კარგა ხანია ამ ქვეყანაში ცხოვრობს), ხოლო საბერძნეთის ნაკრებში გამოდის ეკატერინე ფახი რიდუ (ფახიროვა), რომელიც, როგორც ქუთაისის წარმომადგენელი, ბევრჯერ მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონატებში.

საქართველოს ნაკრების გარდა, არის კიდევ ერთი გუნდი, რომელიც მთლიანად დიდოსტატებისაგან შედგება — რუმინელების შემადგენლობაში არიან კორინა პუპტანი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ადრინდელი ტურნირის მონაწილე კრისტინა ფოიშორი და ლუმინიტა კოსმა. ძლიერი გუნდები გამოჰყავთ სხვა ქვეყნებსაც.

ცხრამეტმა ნაკრებმა გამოაგზავნა ვაჟთა შეჯიბრებაში მონაწილეობის წინასწარი განაცხადი. მათი რიცხვი, ცხადია, შეიძლება უკანასკნელ მომენტში კიდევ უფრო გაიზარდოს. ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში არიან დიდოსტატები ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა, გენადი ზაიჩიკი და საქართველოს ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი გიორგი ყაჭეიშვილი.

რომელი ადგილი შეიძლება დაიკავოს ამ შეჯიბრებაში ჩვენმა ნაკრებმა, რომელიც ერევნის ოლიმპიადაზე მერვე ადგილზე გამოვიდა?! მას ახლა უკეთესი შედეგის მიღწევის შესაძლებლობა ეძლევა. გუნდი, ისევე, როგორც მოჭადრაკე ქალები, ბორჯომში ემზადებოდა. ძლიერი მეტოქე, რა თქმა უნდა, ბევრია, ზოგი გუნდი მთლიანად დიდოსტატებისაგან შედგება. საინტერესოა, რომ საბერძნეთის ნაკრებში მეორე დაფაზე გამოდის დიდოსტატი იოანის ნიკოლაიდისი, რომელიც ადრე საქართველოს ჩემპიონატში თამაშობდა იან პოპოვის სახელითა და გვარით. შვეციის ნაკრებში განთქმულ დიდოსტატ ულფ ანდერსონის შემდეგ მეორე დაფაზე გამოდის ქალი — მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი პია კრამლინგი.

შვეიცარიის ნაკრებში პირველ დაფაზე ითამაშებს 66 წლის ვიქტორ კორჩნოი, რომელიც 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი იყო და აქამდე შეინარჩუნა დიდი ძალა. უნგრეთის ნაკრებში ამჯერად არც იუდით პოლგარი ითამაშებს, არც ამ გუნდის მრავალწლიანი ლიდერი ლაიოშ პორტიში, რომელიც ამას წინათ 60 წლისა გახდა. მეტად ძლიერია ისრაელის ნაკრები, რომელიც 5 დიდოსტატისაგან შედგება (ბორის ალტერმანი, ლეონიდ იუდასინი, ილია სმირინი, ალექსანდრ ხუზმანი, მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ემილ სუტოვსკი).

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ჩატარდება, 9 ტურად.

ბივი თორელი

## პირველი პრიზი — ბელიავსკის

მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი ლვოველი დიდოსტატი ალექსანდრ ბელიავსკი ახლა სლოვენიის სახელით გამოდის და კვლავინდებურად თვალსაჩინო წარმატებები აქვს.

ბელიავსკიმ მონაწილეობა მიიღო მეცამეტე კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ჩეჩაკში (იუგოსლავია) გაიმართა და 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულით დაუმარცხებლად დაიკავა პირველი ადგილი. საინტერესოა, რომ კიდევ ორმა დიდოსტატმა წარმართა შეჯიბრება დაუმარცხებლად: უნგრელებმა – 17 წლის პეტერ ლეკომ და 20 წლის ზოლტან ალმაშიმ. მათ 6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს.

## დიდი ცვლილებები „რეიტინგ-ლისტში"

როგორც ცნობილია, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია წელიწადში ორჯერ (1 იანვარსა და 1 ივლისს) აქვეყნებს თავის „რეიტინგ-ლისტს". მაგრამ იმის გამო, რომ დროის ამ დიდ, ნახევარწლიან მონაკვეთში საჭადრაკო სამყაროში თვალსაჩინო ცვლილებები ხდება, ფედერაციის ბიულეტენი „ფიდე ფორუმი" დამატებით გვთავაზობს ხოლმე მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების სიას და მას ახალი მონაცემით ავსებს.

აი, რა ცვლილებები მოხდა „რეიტინგ-ლისტში" იანვრიდან, დღემდე.

ვაჟთა პირველ ათეულს კვლავინდებურად ლიდერობს გარი კასპაროვი, რომლის რეიტინგი ლას-პალმასსა და ლინარესში ბრწყინვალე წარმატებების შემდეგ მკვეთრად გაუმჯობესდა: 2795-დან 2820,60-მდე. ეს გახლავთ რეკორდი ჭადრაკის ისტორიაში. მეორე ადგილზე გადაინაცვლა ვლადიმერ კრამნიკმა (2740-ის ნაცვლად 2762,90 პუნქტი). ვიშვანათან ანანდმა ლინარესში დიდი მარცხის შემდეგ მეორე პოზიციიდან მესამეზე გადაინაცვლა (2765-ის ნაცვლად 2761). ანატოლი კარპოვი მესამე იყო, ახლა „დაზარალდა" (2747) და მეოთხეა. ვესელინ ტოპალოვი მეხუთეა (2732,60), იყო მეექვსე (2725). მან ადგილი გაუცვალა ვასილი ივანჩუკს, რომელიც 16,60 პუნქტით „დაზარალდა" და ახლა 2730,40 აქვს. მეშვიდე ადგილი შეინარჩუნა გატა კამსკიმ (2720), რომელსაც ამ ხნის განმავლობაში არსად უთამაშია. ბორის გელფანდმა მცირე დანაკლისი კი განიცადა, მაგრამ კვლავინდებურად მერვეა (ჰქონდა 2700, ახლა – 2697,50). ვალერი სალოვმა მეთოთხმეტე ადგილიდან, ლინარესში დიდი წარმატების შემდეგ მეცხრეზე გადაინაცვლა (2679,80 პუნქტი 2665-ის ნაცვლად). კვლავინდებურად მეათეა ნაიჯელ შორტი (2677,90), თუმცა 12,10 ჩამოაკლდა.

პირველი ათეული დატოვა ალექსეი შიროვმა, ახლა მეთორმეტეა (დააკლდა 16,10 პუნქტი და ახლა აქვს 2673,90). სხვა ცვლილებებიდან უნდა აღინიშნოს იუდით პოლგარის აშკარა წინსვლა. იგი 23-ე ადგილიდან (2645) მეჩვიდმეტეზე გადავიდა (2658,80). ეს წარმატება მას ლინარესში მოპოვებულმა მეხუთე ადგილმა მოუტანა.

ზურაბ აზმაიფარაშვილმა 3,30 პუნქტი მიიმატა, საერთოდ კი შეინარჩუნა თავისი 22-ე ადგილი (2653,30). გია გიორგაძემ მკვეთრად გააუმჯობესა თავისი ადგილი რეიტინგ-ლისტში, იყო 71-ე (2595), ახლა 59-ეა (2601,70).

ქალთა პირველი ათეული ასე გამოიყურება: 1. იუდით პოლგარი (2658,80), 2. მსოფლიო ჩემპიონი ჟუჟა პოლგარი (2565), რომელსაც მთელი რვა თვის განმავლობაში არსად უთამაშია. 3. პია კრამლინგი (2550,40). 4. მაია ჩიბურდანიძე (2535). 5. მსოფლიო ჩემპიონი გოგონათა შორის ჟუ ჩენი (2522,70), რომელმაც გაასწრო თავის თანამემამულეს, ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს სიე ჟუნს. 6. ნანა იოსელიანი (2510), 7. სიე ჟუნი (2509,60). 8. სვეტლანა მატვეევა (2490). 9. ქეთევან არახამია (2479,80). 10 სოფია პოლგარი (2470).

ნინო ხურციძე მეთოთხმეტეა (2422,20). ქეთევან კახიანი – ოცდამეხუთე (2391,60), ნინო გურიელი – ოცდამეცხრამეტე (2370,30), მაია ლომინეიშვილი – მეორმოცე (2367,90), ნატო ეძგვერაძე – ორმოცდამეექვსე (2360,4).

ჭაბუკთა ოცეულს კვლავინდებურად სათავეში უდგას ყოფილი თბილისელი, ახლა კი ჩეხეთის წარმომადგენელი სერგო მოვსესიანი – 2613,50, მეორეა უნგრელი პეტერ ლეკო (2607,70). ადრე ვწერდით ნიჭიერ მოსკოველ მოჭადრაკე მიხეილ ქობალიაზე, რომელსაც ამას წინათ დიდოსტატის წოდება მიენიჭა. მიხეილი ჭაბუკთა სიაში მერვეა – 2535,80, გიორგი ყაჭეიშვილი კი მეცამეტე – 2514,50. ოცეულში პირველად გამოჩნდა 14 წლის ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) – 2506,70, რომელსაც ფიდეს უახლოესმა კონგრესმა დიდოსტატის წოდება უნდა მიანიჭოს.

ქალიშვილების სიაში პირველ ადგილზეა რუმინელი დიდოსტატი კორინა პუპტანა (2437,40), იგი თავისი ქვეყნის №1 მოჭადრაკეც არის. მეორეა ყოფილი ვუნდერკინდი ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) – 2417,20. მაია ლომინეიშვილი (2367,90) მერვეა.

ეს „რეიტინგ-ლისტი", ასე ვთქვათ, „სამუშაო ხასიათისაა", ოფიციალურ სიას კი „ფიდე ფორუმი" 1 ივლისისათვის გამოაქვეყნებს.

# ადამიანო, შენ თუ რობოტი?

*(პირველი გვერდიდან)*

რი დაედო, მიულოცა ფენგ სიუს, კორესპონდენტებს აღარ გაუჩერდა და სასწრაფოდ დატოვა დარბაზი. მეორე პარტია ჩემპიონმა გაცილებით უკეთ წარმართა. შეიქმნა ისეთი პოზიცია, რომლის მოსაგებად კასპაროვს არაჩვეულებრივად დახვეწილი, ფილიგრანული ტექნიკა უნდა ეჩვენებინა და უჩვენა კიდეც — 1:1. მესამე და მეოთხე პარტიები ფრიად საინტერესო მძაფრი თამაშის შემდეგ ყაიმით დასრულდა. ეს უკვე სენსაციური შედეგი იყო — 2:2. იყო მომენტები, როცა „დიპ ბლიუ" წარმოუდგენლად ღრმად თამაშობდა და მრისხანე მეტოქეს სულ პრობლემებს უქმნიდა. დიახ, ეს უკვე ძველი რობოტი აღარ იყო.

აი, ასეთ ვითარებაში, როცა მსოფლიო ჭადრაკის გულშემატკივრები პირდაპირ გაოცებულნი იყვნენ „დიპ ბლიუს" ძალით, გაიმართა მეხუთე პარტია, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა. გათამაშდა ოთხი მხედრის დებიუტი. 23 სვლის შემდეგ შეიქმნა დაახლოებით თანაბარი პოზიცია და მსოფლიო ჩემპიონმა რობოტს ყაიმი შესთავაზა. რახან რობოტი მუნჯია, მის ნაცვლად კონსტრუქტორ ფენგ სიუს უნდა ეპასუხა. ტაივანელმა ვერ აიღო თავის თავზე ასეთი პასუხისმგებლობა, ვერ ენდო, ასე ვთქვათ, თავის საჭადრაკო კვალიფიკაციას და რჩევა „დიპ ბლიუს" შემქმნელთა გუნდის კონსულტანტს, ცნობილ დიდოსტატ ჯოელ ბენჯამინს თხოვა. ამერიკელმა დიდოსტატმა ბრძოლის გაგრძელება ამჯობინა. „თუ ექსპერიმენტია, ექსპერიმენტი იყოს. მართლაცდა, სპორტულ შედეგს ნუ მივცემთ გადამწყვეტ მნიშვნელობას". ასეთი განცხადება გააკეთეს „დიპ ბლიუს" ავტორებმა. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ შემდგომ ბრძოლაში რობოტის „ტვინში" რაღაც აირია და კასპაროვს ზედმეტი ფიგურა დარჩა. დანარჩენი ნათელი იყო. კასპაროვი დაწინაურდა — 3:2. შედარებით იოლად მოიგო მან უკანასკნელი პარტიაც — 4:2.

ახლა კი რამდენიმე ნაწყვეტი კასპაროვის პრეს-კონფერენციიდან, რომელიც მატჩის შემდეგ ფილადელფიაში გაიმართა.

— ეჭვი არ მეპარება, რომ ეს მატჩი პირველია მრავალთაგან, რომლებიც შემდგომში გაიმართება. დარწმუნებული ვარ, ადამიანისა და მანქანის შეჯიბრება დიდ როლს შეასრულებს არა მარტო ჭადრაკის სამყაროში, არამედ ცოდნის იმ სფეროებშიც, რომლებიც ადამიანისა და კომპიუტერის ურთიერთობის საკითხებს იკვლევენ.

— უპირველეს ყოვლისა მე მინდა მივულოცო პროგრამის შემქმნელებს, რომლებმაც ესოდენ დიდ წარმატებებს მიაღწიეს, კომპიუტერი ხომ მეტად სერიოზული მეტოქე აღმოჩნდა. მე კი მოვიგე ანგარიშით 4:2, მაგრამ თამაში ისეთივე მძიმე იყო, როგორც მსოფლიო პირველობის მატჩებში. მერწმუნეთ, მე მეტად სერიოზულად ვთამაშობდი. ეს ისტორიაში პირველად მოხდა — კომპიუტერი წარმატებით ებრძოდა მსოფლიო ჩემპიონს.

— დარწმუნებული ვარ, მომავალში გამოჩნდებიან მოჭადრაკეები, რომლებიც მიიღებენ გამოწვევას. ახლა, როგორც ამ მატჩის შედეგების შემდეგ გამოირკვა, მსოფლიოში ძალზე ცოტა მოთამაშეა, რომელიც ასეთ დაძაბულობას გაუძლებს.

— ინტერესით დაველოდები მომდევნო შეჯიბრებებს. ჯერ ერთი, ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, მეორეც, შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ღრმად შევისწავლოთ ჭადრაკი. ჩვენ ისე ღრმად წავედით წინ, რომ მე მარტო იმას კი არ ვსწავლობდი, როგორ მეთამაშა, მანქანასთან, არამედ ბევრ სხვა რამესაც, რომელიც ჭადრაკის თამაშთან არის დაკავშირებული. საჭირო ხდებოდა მთელი ინტელექტუალური რესურსების მობილიზება. ეს ნამდვილად ამაღელვებელი ექსპერიმენტი იყო და მზად ვარ მის გასამეორებლად.

და აი IBM („აი ბი ემ")-ის კორპორაციამ, რომელსაც ეკუთვნის „დიპ ბლიუ", კვლავ გამოიწვია მატჩში მსოფლიო ჩემპიონი. იგი 6 პარტიისაგან შედგება, ოღონდ, ამჯერად თამაში გაიმართება არა ფილადელფიაში, არამედ ნიუ-იორკში, მსხვილი სადაზღვევო კომპანია „ეკუიტაბლ ლაიფ ინშურენსის" შენობაში, რომლის დარბაზში 475 მაყურებელი ეტევა. გარდა ამისა, დაახლოებით ას ამერიკულ ქალაქში დაყენებული იქნება, დიდი ეკრანი, რომლის საშუალებითაც გულშემატკივრები თვალყურს ადევნებენ მატჩს, პარტიებს კი ცნობილი ოსტატები გაარჩევენ. საპრიზო ფონდი 1 მილიონ 100 ათასი დოლარია, აქედან, გამარჯვებული 700 ათასს მიიღებს. თუკი კომპიუტერმა (ახლა ამერიკული პრესა მას „სუპერკომპიუტერს" უწოდებს) გაიმარჯვა, მაშინ ეს თანხა ქალაქ იორკთაუნის „აი ბი ემ"-ის სამეცნიერო ცენტრის იმ თანამშრომელთა ჯგუფს გადაეცემა, რომელმაც „დიპ ბლიუ" მოამზადა.

რა არის მოსალოდნელი ამ ახალ მატჩში?

როგორც, ამას წინათ, მონრეალში გამართულ პრეს-კონფერენციაზე პროგრამისტმა მონტი ნიუბორნმა განაცხადა (მან შეცვალა ვიეტნამელი ფენგ სიუ) ამ თავისებურ მატჩ-რევანშში კასპაროვს ძალიან გაუჭირდება. საქმე ის არის, რომ ახლა „დიპ ბლიუ" გაცილებით მეტს თვლის, ვიდრე შარშან. როგორც მონტი ნიუბორნმა მახვილგონივრულად განაცხადა, „დიპ ბლიუ" ამჟამად ნემსსაც კი იპოვის თივის ზვინში. თვით კასპაროვიც მეტად სერიოზულად არის განწყობილი და ფიქრობს, რომ წლევანდელი მატჩი შარშანდელზე უფრო მძიმეც კი იქნება, და, ალბათ, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად აუბნევს მსოფლიო ჩემპიონი თავგზას ამ ყოვლისმცოდნე რობოტს. ერთხანს კასპაროვმა, რომელსაც კარგად ახსოვს, თუ რა დღე დაადგა შარშან ზოგიერთ პარტიაში, თავისი საკუთარი კომპიუტერის გამოყენების ნებართვაც კი მოითხოვა (ზოგიერთი ვარიანტის გასახსენებლად, რადგან „დიპ ბლიუს" საერთოდ ყველაფერი „ახსოვს"), მაგრამ ცივი უარი მიიღო. იყო დრო, როცა კასპაროვი (ისევე, როგორც კარპოვი) სერიოზულად ფიქრობდა, რომ კომპიუტერი ვერასდროს სძლევდა მსოფლიო ჩემპიონს. ახლა ეს საფრთხე დგება, თუმცა კასპაროვი იმედიანად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ ყოველ შემთხვევაში, 2000 წლამდე, ადამიანმა უნდა შეინარჩუნოს მსოფლიო ჩემპიონობა, შემდეგ კი კომპიუტერები იმძლავრებენ. ასეა საქმე თუ არა, ამაში შეიძლება ახლანდელმა მატჩმაც გაგვარკვიოს.

ითვლება, რომ ლას-პალმასში და ლინარესში ორი ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ კასპაროვი უდავოდ თვალსაჩინოდ აღემატება ყველა პრეტენდენტს, გნებავთ ანანდსა და კრამნიკს, გნებავთ კარპოვსა და ტოპალოვს. თუ რამდენად აღემატება იგი საოცრად ძლიერ „დიპ ბლიუს" და თუ საერთოდ სჯობს კი მას — აი, რა აინტერესებთ ახლა ჭადრაკის სპეციალისტებს, გულშემატკივართა მილიონებს და, პირველ რიგში ალბათ, მაინც სამეცნიერო სამყაროს.

ახლა, როცა „დიპ ბლიუს" მაღალ ღირსებებში ეჭვი არავის ეპარება, მისი წარმატება მაინც შეუძლებლად მიაჩნია ისეთ ავტორიტეტს, როგორიც ანატოლი კარპოვია. შეიძლება ამას იგი „ისტორიული მატჩის" გარი კასპაროვის დასამცირებლადაც აკეთებს.

— მე არ ვიცი, რა კარდინალური ცვლილებები შეიტანეს კომპიუტერის პროგრამაში, იმაში კი ეჭვი მეპარება, თითქოს იგი გაცილებით უფრო „ჭკვიანი" გახდა. თუ უბრალო ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ წუთს იფიქრებს თუ ორს, ეს გარემოება მანქანისათვის არავითარ როლს არ ასრულებს. საქმე ის არის, რომ გათვლის სიზუსტისა და სიღრმის გასაუმჯობესებლად კომპიუტერის სიმძლავრე, როგორც მინიმუმი, ექვსჯერ მაინც უნდა გაიზარდოს. ამიტომ მე ეჭვი არ მეპარება, რომ კასპაროვი კვლავ გაიმარჯვებს. არ ვიცი, გაუძლებს თუ არა ადამიანი მანქანასთან ბრძოლას 2000 წლამდე, მაგრამ წელს ნამდვილად გაუძლებს.

მაშ ასე, ვადევნოთ თვალყური „დიპ ბლიუს" თამაშს, რომლისაც ბევრს სჯერა, თუმცა ზოგი სკეპტიკურ აზრსაც გამოთქვამს. შარშანდელმა ფაქტმა, ფაქტი კი, როგორც მოგეხსენებათ, ჯიუტია, მთელ მსოფლიოს დაანახვა კომპიუტერის დიდი ძალა. მაგრამ რამდენად საკმარისია ეს დიდი ძალა მსოფლიო ჩემპიონის დასამარცხებლად?!

ბივი ბამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

# თასების თასი

Cup Winners' Cup

**განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები**

**ფიორენტინა (იტალია) – ბარსელონა (ესპანეთი) 0-2 (1-1)**
კოუტუ (30), გვარდიოლა (36)

**ლივერპული (ინგლისი) – პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი) 2-0 (0-3)**
ფაულერი (12), რაიტი (79)

შენიშვნა: ფრჩხილებში მოყვანილია პირველი მატჩის შედეგი.

***ამრიგად, ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ „ბარსელონა“ და „პარი სენ-ჟერმენი“ წარსდგებიან.***

CHAMPIONS LEAGUE

# ჩემპიონთა ლიგის მომავალი თანდათან იკვეთება

**ადვილი შესაძლებელია, რომ მომავალ საფეხბურთო სეზონში ოთხი ქართველი ლეგიონერი - შოთა და არჩილ არველაძეები, გიორგი ნემსაძე და გოჩა ჯამარაული - ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.**

უეფას მიერ გავრცელებული ცნობით, ჩემპიონთა ლიგის 24-გუნდიან ვარიანტში ჩვენი სამხრეთი მეზობლის ორი კლუბია დასახელებული. უეფას რეიტინგში 1-8 ადგილებზე მყოფი ქვეყნები ლიგაში ორ-ორი გუნდით იქნებიან წარმოდგენილი. საბერძნეთმა და თურქეთმა ერთნაირი კოეფიციენტი დააგროვეს და მერვე-მეცხრე ადგილებს იყოფენ. ორივე ქვეყანა ლიგაში ორ-ორ გუნდს ხომ არ გაიყვანდა, ამიტომ უეფამ იმას მისცა უპირატესობა, ვინც ევროტურნირების წლევანდელ გათამაშებაში უკეთესი კოეფიციენტი დააგროვა. აღმოჩნდა, რომ წლევანდელ ევროტურნირებზე თურქეთის კლუბებმა 7,75 ქულა დააგროვეს, ხოლო ბერძნულმა — 3,75. ამიტომ უეფამ თავის რეიტინგში მერვე ადგილი თურქებს მიანიჭა და, შესაბამისად, ევროტურნირების მომავალ გათამაშებაში ისინი ჩემპიონთა ლიგაში ორი გუნდით წარსდგებიან.

ამასთან, უეფამ გამოაცხადა, რომ ლიგის ამჟამინდელი ნახევარფინალისტები, თუნდაც ქვეყნის ჩემპიონატში მეორეზე ქვედა ადგილი დაიკავეს, მაინც მოხვდებიან მომდევნო გათამაშებაში (ამ შემთხვევაში ეს ქვეყნები შეჯიბრში სამი კლუბით წარსდგებიან).

# ბუნდესლიგის ორი „პელე“

ბუნდესლიგებს ახლა ორი „პელე“ ჰყავთ. ერთია საყოველთაოდ ცნობილი აბედი პელე, რომელიც „მიუნხენ 1860“-ში თამაშობს, მეორე კი „ურდინგენის“ მეტად შედეგიანი თავდამსხმელი კლაუს-დიტერ ვოლიცი.

„კიკერის“ კორესპონდენტი დაინტერესდა, რატომ თამაშობს ასე იშვიათად აბედი პელე და დროის უმეტეს ნაწილს სათადარიგოთა სკამზე ატარებს?

● *ამ სიტუაციით თქვენ კმაყოფილი ხართ, აბედი პელე?*

— ცოტას მოვიცდი, ვნახოთ, რა მოხდება.

● *თქვენ უკვე განაცხადეთ, რომ ამ სეზონის შემდეგ „მიუნხენ 1860“-ს სტოვებთ.*

— ცოტა სხვანაირად ვთქვი, რომ მიუნხენში სულ ერთ სეზონს დავრჩები. შემდეგ დევ, კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტოს.

● *პრეზიდენტ ვილდმოზერსა და მწვრთნელ ლორანტს გულისხმობთ?*

— დიახ.

● *დარჩენა რომ გთხოვონ?*

— (პელე იცინის) ვნახოთ, ახლა ძნელი სათქმელია, რას მოვიმოქმედებ.

ერთი სიტყვით, ვთქვათ პირდაპირ, აბედი პელეს გერმანული კარიერა მარცხით დასრულდა. ამას თუნდაც მის მიერ ბუნდესლიგაში გატანილი ერთადერთი ბურთიც ადასტურებს. მაგრამ თუ ამ ქვეყნის ფეხბურთს მრავალი გამოჩენილი ოსტატის მსგავსად, ვერ შეეგუა, აბედი პელე ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ არის დრო და მისი ოსტატობა ბევრ კარგ ცნობილ პროფესიულ კლუბს გამოადგება.

რაც შეეხება მეორე „პელეს“, კლაუს-დიტერ ვოლიცს, იგი მშვენივრად თამაშობს მეორე ბუნდესლიგაში, მისი კლუბი „ურდინგენ-05“ კი პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებას აპირებს.

# ხელი ხელს ჰბანს

ამ ზაფხულს, უფრო ზუსტად 1 ივნისს, იოჰანესბურგში სამხრეთ აფრიკის ნაკრები ამხანაგურ მატჩში ჰოლანდიის გუნდს ეთამაშება. ქვეყნის პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ ამ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად სპეციალური მიწვევა გაუგზავნა ამჟამად ლონდონის „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელს რუუდ გულიტს.

თურმე, წარსულში გულიტი მანდელას თაყვანისმცემელი ყოფილა და თავი მის თანამებრძოლად მიაჩნდა. აკი, 1987 წლის ევროპის რჩეული ფეხბურთელის პრიზი ჰოლანდიელმა მანდელას მიუძღვნა. ჰოდა, პრეზიდენტმა მადლიერების ნიშნად გულიტს მიწვევა გამოუგზავნა.

# 30 აპრილი — დიდი საფეხბურთო დღე

FRANCE 98

## მსოფლიო სტადიონებზე – მორიგი შესარჩევი მატჩები

*(პირველი გვერდიდან)*

„სკუადრა აძურას“ მთავარმა მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ ამ მატჩისათვის პრაქტიკულად ყველა იმ ფეხბურთელს მოუყარა თავი, რომლებმაც ხუჟევში ითამაშეს. წინა შეკრებასთან შედარებით იტალიელებს სამი ტრავმირებული მოთამაშე აკლიათ — ენრიკო კიეზა, მიკელე პადოვანო და ალესანდრო ნესტა. მათ ნაცვლად მალდინიმ მხოლოდ ფაბრიციო რავანელი დაიმატა. გთავაზობთ იტალიელთა შემადგენლობას: *მეკარეები* — ანჯელო პერუცი („იუვენტუსი“), ფრანჩესკო ტოლდო („ფიორენტინა“); *მცველები* — ჩირო ფერარა („იუვენტუსი“), ალესანდრო კოსტაკურტა, პაოლო მალდინი (ორივე — „მილანი“), ფაბიო კანავარო, ანტონიო ბენარივო (ორივე — „პარმა“), კრისტიან პანუჩი („რეალი“); *ნახევარმცველები:* ანჯელო დი ლივიო („იუვენტუსი“), რობერტო დი მატეო („ჩელსი“), დემეტრიო ალბერტინი, სტეფანო ერანიო (ორივე — „მილანი“), დინო ბაჯო („პარმა“), დიეგო ფუზერი („ლაციო“), ამადეო კარბონი („რომა“); *თავდამსხმელები* — კრისტიან ვიერი („იუვენტუსი“), ფილიპო ინძაგი („ატალანტა“), ფაბრიციო რავანელი („მიდლსბრო“) ჯანფრანკო ძოლა („ჩელსი“). ეს სია ჩეზარე მალდინიმ გასულ კვირას გამოაცხადა, ახლა კი უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა ახალი ამბავი გვაუწყეს — დიდი ყოყმანის შემდეგ მწვრთნელმა ნაკრების შეკრებაზე მილანელ რობერტო ბაჯოსაც უხმო.

**გერმანიის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბერტი ფოგტსი ალბანელების წინააღმდეგ თავისი გუნდის თამაშით, ცხადია, უკმაყოფილოა, ამიტომ, გუნდის გადახალისების მიზნით, უკრაინელებთან მატჩში მწვრთნელმა სამი ახალი ფეხბურთელი გამოიყვანა. ესენია „ლიბერო“ იენს ნოვოტნი, ნახევარმცველები სვენ კმეტჩი და იენს იერემიესი. აი, ვინ მიიწვია ფოგტსმა: *მეკარეები* — კანი („ბაიერნი“), კიოპკე („მარსელი“); *მცველები* — ბაბელი, ჰელმერი (ორივე — „ბაიერნი“), კოლერი, როიტერი (ორივე — „დორტმუნდი“), ვიორნსი, ნოვოტნი (ორივე — „ბაიერი“), შნაიდერი („შტუტგარტი“); *ნახევარმცველები* — ბასლერი, ციგე (ორივე — „ბაიერნი“), ჰ ინრიხი, იერემიესი, კმეტჩი, მიოლერი (ყველანი — „დორტმუნდი“), აილტსი („ვერდერი“), ტარნატი („კარლსრუე“), ვოში („ბოხუმი“); *თავდამსხმელები* — ბირჰოფი („უდინეზე“), ბობიჩი („შტუტგარტი“), დაიდი („კარლსრუე“), კლინსმანი („ბაიერნი“).

**რუსეთის** მთავარი გუნდის მწვრთნელი ბორის იგნატიევიც, ფოგტსის არ იყოს, უკმაყოფილოა თავისიანების ბოლო გამოსვლით (რუსებმა კვიპროსელებთან გასვლითი მატჩი ფრედ ითამაშეს, 1-1). მან სამი ცნობილი ლეგიონერი — სელტელი მოსტოვოი, ვალენსიელი კარპინი და ბოლონიელი კოლივანოვი დაიწუნა და მათ სანაცვლოდ ოთხი დებიუტანტი მიიწვია: მოსკოვის არმიელი კულიკოვი, ჟემჩუჟინელი გორშკოვი, როტორელი ვიტალი აბრამოვი და მოსკოვის დინამოელი სერგეი გრიშინი. აი, ვინ ემზადება ლუქსემბურგელებთან მატჩისათვის: *მეკარეები* — ოვჩინიკოვი („ლოკომოტივი“), ჩერჩესოვი („ტიროლი“); *მცველები* — მამედოვი („სპარტაკი“), ბოკოვი (ცსკა), ჩუგაინოვი („ლოკომოტივი“), ონოპკო („ოვიედო“), კოვტუნი („დინამო“, მ.), პოპოვი („კომპოსტელა“); *ნახევარმცველები* — კანჩელსკისი („ფიორენტინა“), გრიშინი („დინამო“), თეთრაძე („რომა“), იანოვსკი („ალანია“), კეჩინოვი, ციმბალარი, ალეინიჩევი („სპარტაკი“), აბრამოვი („როტორი“), გორშკოვი („ჟემჩუჟინა“); თავდამსხმელები — კულიკი (ცსკა), ზუბკო („როტორი“), სიმუტენკოვი („რეჯანა“), ბესჩასტნიხი („რასინგი“), გერასიმენკო („როსტსელმაში“), რადიმოვი („სარაგოსა“).


*რობერტო ბაჯო*

**შვეიცარიელთა** თავკაცმა როლ ფრინგერმა ციურიხის „ჰარტუმის“ სტადიონზე უნგრეთის გუნდის წინააღმდეგ სათამაშოდ ნაკრებში კელავ უხმო ფორვარდ კუბილაი თურქილმაზს, რომელმაც ტრავმა მოიშუშა. მის გარდა მწვრთნელმა გამოიძახა აგრეთვე ცნობილი ნახევარმცველები — ინტერელი ჩირიაკო სფორცა და გრასჰოპერელი მურატ იაკინი. სამაგიეროდ, 30 მარტის მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს ჰამბურგელი შტეფან ენჩოსი: მას ამ დღეებში ორივე მუხლის ოპერაცია გაუკეთეს.

**იუგოსლავიის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სლობოდან სანტრაჩმა ესპანელების წინააღმდეგ ჩვეულზე მეტი მოთამაშე მიიწვია. ეს იმიტომ მოხდა, რომ ბევრ ფეხბურთელს, მათ შორის დეიან სტეფანოვიჩს, ბრანკო ბრნოვიჩს, დეიან სავიჩევიჩს ტრავმები აწუხებთ, ხოლო ანტონ დრობნიაკს დედა გარდაეცვალა და ამის შედეგად ბასტიელის მონაწილეობა მატჩში სათუოა. ბელგრადის შეხვედრას წინა შეხვედრებში მიღებული გაფრთხილებების გამო გამოტოვებენ ვლადიმერ იუგოვიჩი, ალბერტ ნადი და სანიშა იოკანოვიჩი.

**უკრაინელთა** გუნდის დამრიგებელმა იოჟეფ საბომაც ბევრ ფეხბურთელს (29) უხმო — ბრემენში გამგზავრებამდე მწვრთნელი 18 მოთამაშეს შეარჩევს. „გერმანიაში წასაგებად არ მივდივართ, თამაშს სწრაფ კონტრშეტევებზე ავაგებთ. დარწმუნებული ვარ ჯგუფში პირველობას შევინარჩუნებთ. ჩვენ კარგად ვიცით გერმანელთა კოზირი — დისციპლინა, ერთიანი სულისკვეთება და გამძლეობა, მაღალი ტემპი მთელი მატჩის მანძილზე“ — განუცხადა საბომ ჟურნალისტებს.

ამას წინათ, „ლელოს“ რედაქციაში დაგვირეკეს ჩვენმა კოლეგებმა კიევში გამომავალი გაზეთ „სპორტიდან“ — აინტერესებდათ ინფორმაცია საქართველო — სომხეთის (ეს ნაკრები შესარჩევ ჯგუფში უკრაინელთა მეტოქეა) ამხანაგური მატჩის შესახებ. იქაურმა ჟურნალისტებმა „საიდუმლოდ“ გვითხრეს, რომ მათ ქვეყანაში ახალი ვარსკვლავი აღმოუჩენიათ — 23 წლის ცენტრალური მცველი იური ბენიო. იგი მესამე დივიზიონის გუნდიდან ლვოვის „კარპატს“ აუყვანია, სადაც ახალწვეული დღითიდღე უმატებს თამაშს. საბო მასზე დიდ იმედებს ამყარებს. თურმე — სჯერა, რომ იგი იურგენ კლინსმანს გაუმკლავდება. და მართლაც, 30 აპრილს მატჩისათვის მოსამზადებელ შეკრებაზე საბომ ნაკრებში ბენიოს უხმო.

**ავსტრიელთა** გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჰერბერტ პროხაზკამ ესტონეთის ნაკრებთან სათამაშოდ რამდენიმე ცვლილება შეიტანა გუნდში. ნახევარმცველების ფრანც აიგნერის და მიქაელ ჰატცის, თავდამსხმელის ანდრეას ოგრიზის ნაცვლად გამოძახებულნი არიან ჰარალდ ჩერნი, დიდი კუბეუერი და ადი ჰეტერი. „ესტონელებთან გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რეალურ შანსს მოგვცემს“ — განაცხადა ავსტრიელთა მწვრთნელმა.

აქვე შეგახსენებთ 30 აპრილის მატჩების სრულ კალენდარს: დანია — სლოვენია, საბერძნეთი — ხორვატია, ინგლისი — საქართველო, იტალია — პოლონეთი, ნორვეგია — ფინეთი, შვეიცარია — უნგრეთი, ავსტრია — ესტონეთი, შვედეთი — შოტლანდია, ლატვია — ბელარუსი, ისრაელი — კვიპროსი, რუსეთი — ლუქსემბურგი, მალტა — ფარერები, იუგოსლავია — ესპანეთი, სანმარინო — ჰოლანდია, თურქეთი — ბელგია, ლიხტენშტეინი — ლიტვა, რუმინეთი — ირლანდია, გერმანია — უკრაინა, სომხეთი — ჩრდ. ირლანდია.

## დისკუსია • ფეხბურთში IX ეროვნული ჩემპიონატის დებულების პროექტი • წერილების მიმოხილვა

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული IX ჩემპიონატის დებულების პროექტის ირგვლივ „ლელოში“ გამოქვეყნებულმა მასალებმა მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. როგორ გავხადოთ ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრება უფრო მიმზიდველი, სპორტულად სამართლიანი, დინამიური — ამის თაობაზე, ცხადია, ყველას თავისი მოსაზრება აქვს. დღეს გთავაზობთ მკითხველთა წერილების მიმოხილვას (ავტორთა სტილი დაცულია).

„რასაკვირველია ყველა გულშემატკივარს საკუთარი შეხედულება აქვს ეროვნულ ჩემპიონატზე. ეს ამბავი მისასალმებელია — კამათში ხომ ჭეშმარიტება იბადება. როგორც იქნა სფფ-მ თავის „სამზარეულოში“ ჩაგვახედა და ეს უფრო ადრეც უნდა გაეკეთებინა. თქვენი არ იყოს, საჯაროობა არასოდეს ვნებს საქმეს...

შარშან კარგი რამ გაკეთდა: ორის ნაცვლად პირველი ჯგუფიდან სამი გუნდის გავარდნა დააწესა. ამ ნაბიჯმა ბრძოლა გაამწვავა. გაჩნდა ინტრიგა, რომელიც თან უნდა ახლდეს ყველა სპორტულ შეჯიბრებას. ვფიქრობ, ამ სამს კიდევ ერთი გუნდიც რომ დავუმატოთ, პაექრობა უფრო უკომპრომისო სახეს მიიღებს“.

ბესიკ ხიდაშელი (ქუთაისი).

„დებულება არც თუ ისე უნაკლოა. გეკითხებით, სად, რომელ ქვეყანაშია დაკანონებული ქულების დაკლების ასეთი სისტემა, როგორც ამჟამად ჩვენში მოქმედებს? რატომ ვიგონებთ ველოსიპედს? ეგრე სადაა: მოგვწონს გუნდი — ხმას არ გავცემთ, არ მოგვწონს — ბრძოლით მოპოვებულ ქულებს ვაკლებთ! ასე ნებისმიერ სტუმარ გუნდს შეუძლია „დაიქირაოს“ თავზეხელაღებული ვაიგულშემატკივარი, რომელიც მსაჯს მიეჭრება და „ყურს აუწევს...“

გაილახა მსაჯი ან კომისარი? მიეცით სტადიონს დისკვალიფიკაცია, დააჯარიმეთ მოზრდილი თანხით, ამაზე ვერავინ შეგედავებათ“.

ოთარ ვარდიაშვილი,
ჯუმბერ ცერცვაძე (თელავი).

„...კახელების მოთხოვნა — დაკლებული ქულები დაგვიბრუნეთო, უსამართლოა. როდესაც საფეხბურთო სეზონის წინ მწვრთნელები დებულებას იხილავდნენ, რატომ არ ადგა მაშინ „კახეთის“ ხელმძღვანელი და საჯაროდ არ განაცხადა — დებულების ამ პუნქტს არ ვეთანხმებიო?“

ჰამლეტ მოლაშხია (ზუგდიდი).

„რას ერჩით ფეხბურთის ფედერაციას. ახალი დებულების პროექტი ხომ ხელთა გაქვთ. ყველაზე მეტად სპეციალისტების აზრი გვაინტერესებს. რატომ დუმან ისინი?

გივი ბერიძე (თბილისი).

* * *

„ადრე წერდით, რომ ყალმუხეთის პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი დიეგო მარადონას იწვევდა ელისტაში... ფეხბურთის სათამაშოდ. რა იყო ეს სენსაცია, არაზუსტი ინფორმაცია თუ მართლა რაიმე აქვს საერთო რეალობასთან?

ალექსანდრე კაცილაძე (რუსთავი).

პასუხი: ჩვენც და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა ეს ცნობა უშუალოდ პირველწყაროდან, თვით კირსან ილიუმჟინოვის სიტყვების დამოწმებით გაავრცელეს.

— გჯერათ, რომ მართლა ჩამოვა დიეგო მარადონა თქვენთან? — ჰკითხეს ახლახან ილიუმჟინოვს.

— რა თქმა უნდა. დიეგო დამპირდა. ვიმედოვნებ, რომ იგი ჩვენს „ურალანშიც“ კი ითამაშებს — კვლავ დააზუსტა კირსანმა.


3-4 მაისი 1997 წ.
15 საათი
სპორტის სასახლე
«კავკასიის თასი -97»
პირველად საქართველოში სამეჯლისო, სპორტული ცეკვების ეროვნული ასოციაცია და მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი აწყობს
«კავკასიის თასის»
გათამაშებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ოსეთის, დაღესტნის, ადიღეს, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მოცეკვავე შემსრულებლები. აგრეთვე, მოწვეული სტუმრები: გერმანიიდან, ავსტრიიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, მოლდოვადან, ლატვიიდან...
Tbilisi - 96
რეკლამის განთავსების მსურველებმა მოგვმართეთ მისამართზე: „მუშტაიდის" ბაღი, სამეჯლისო ცეკვების სტუდია «თელა».
ტელეფაქსი: 96-52-75,
ტელეფონი 34-41-51

საქართველოს პროფესიული ჩემპიონატი ფეხბურთში

# მეორე ჯგუფი

## აღმოსავლეთი ზონა. XXXII ტური.

იბერია- ლოკომოტივი 0-0, არმაზი — თსუ-2. შევარდენი 2-0, მესხეთი — მრეტები 3-0, დურუჯი-ჭაბუკიანი 1-1, ენერგეტიკოსი — დინამო-2 0-3, შსს აკადემია-35-სტუ 4-1, ასკ-მორკინალი 0-2, შირაქი-ავაზა 3-1, ქინერი-კოდაკო 1-5, თორი-ცხინვალი 2-1.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მორკინალი (თბილისი | 30 | 25 | 4 | 1 | 73-8 | 79 |
| ლოკომოტივი (თბილისი) | 30 | 22 | 7 | 1 | 61-9 | 73 |
| ასკ (თბილისი) | 30 | 20 | 2 | 8 | 59-36 | 62 |
| ცხინვალი | 29 | 20 | 1 | 8 | 60-29 | 61 |
| დინამო 2 (თბილისი) | 30 | 18 | 6 | 6 | 84-22 | 60 |
| არმაზი (მცხეთა) | 30 | 17 | 2 | 11 | 69-46 | 53 |
| შსს აკადემია (თბილისი) | 30 | 15 | 7 | 8 | 64-29 | 52 |
| კოდაკო (თბილისი) | 30 | 15 | 7 | 8 | 48-34 | 52 |
| შირაქი (დედოფლისწყარო) | 30 | 13 | 11 | 6 | 42-33 | 50 |
| თორი (ბორჯომი) | 30 | 15 | 4 | 11 | 37-46 | 49 |
| იბერია (ქარელი) | 30 | 15 | 3 | 12 | 46-37 | 48 |
| თსუ შევარდენი-2 (თბილისი) | 29 | 10 | 1 | 18 | 33-58 | 31 |
| 35-სტუ (თბილისი) | 30 | 7 | 8 | 15 | 41-58 | 29 |
| მრეტები (თბილისი) | 30 | 7 | 7 | 16 | 34-50 | 28 |
| მესხეთი (ახალციხე) | 30 | 7 | 3 | 20 | 38-70 | 24 |
| ენერგეტიკოსი (გარდაბანი) | 30 | 8 | 4 | 18 | 35-64 | 23 |
| დურუჯი (ყვარელი) | 30 | 5 | 6 | 19 | 19-70 | 21 |
| ჭაბუკიანი (ლაგოდეხი) | 30 | 3 | 8 | 19 | 23-52 | 17 |
| ქინერი (ქინვალი) | 30 | 6 | 3 | 21 | 37-102 | 16 |
| ავაზა (თბილისი) | 30 | 2 | 4 | 24 | 23-73 | 10 |

## დასავლეთი ზონა. XXVI ტური.

ოლიმპია-მამისონი 11-0, კახაბერი-მერცხალი 1-3, ეგრისი-ოდიში-2 1-0, სულორი — მეშახტე 1-2, მაღაროელი — იმერეთი 5-0, სალხინო — კოლხეთი-2 0-1, ტორპედო-2-სქური 0-1, დინამო-2 — სამეგრელო 4-1

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი (ჭიათურა) | 24 | 22 | 0 | 2 | 75-16 | 66 |
| მერცხალი (ოზურგეთი) | 24 | 19 | 1 | 4 | 59-23 | 58 |
| მეშახტე (ტყიბული) | 23 | 19 | 1 | 3 | 53-18 | 58 |
| ოლიმპია (ხობი) | 25 | 13 | 1 | 11 | 55-43 | 40 |
| კოლხეთი-2 (ფოთი) | 24 | 13 | 4 | 7 | 39-15 | 38 |
| საპოვნელა (თერჯოლა) | 24 | 10 | 7 | 7 | 44-34 | 37 |
| სალხინო (მარტვილი) | 24 | 11 | 2 | 11 | 35-34 | 35 |
| სქური (წალენჯიხა) | 24 | 10 | 5 | 9 | 36-33 | 35 |
| სამეგრელო (ჩხოროწყუ) | 24 | 9 | 6 | 9 | 45-46 | 33 |
| იმერეთი (ხობი) | 24 | 10 | 2 | 12 | 38-45 | 32 |
| სულორი (ვანი) | 25 | 9 | 4 | 12 | 33-38 | 31 |
| ეგრისი (სენაკი) | 24 | 9 | 5 | 10 | 29-32 | 27 |
| დინამო-2 (ბათუმი) | 24 | 7 | 4 | 13 | 27-38 | 25 |
| ტორპედო-2 (ქუთაისი) | 24 | 5 | 3 | 16 | 20-52 | 18 |
| მამისონი (ონი) | 22 | 4 | 3 | 15 | 31-66 | 15 |
| კახაბერი (ხელვაჩაური) | 25 | 4 | 3 | 18 | 25-90 | 15 |
| ოდიში-2 (ზუგდიდი) | 24 | 3 | 3 | 18 | 15-36 | 12 |

# ჭიათურელებს თავი ქუდში აქვთ...

**„მეორეჯგუფელები" თანდათან ფინიშის სწორზე გადიან, მაგრამ ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ მაღალი ლიგის სამი საგზურის მფლობელთაგან ერთის ვინაობა გარკვეულია - გაისად ჭიათურელებსაც ეყოლებათ გუნდი პირველ ჯგუფში.**

როდესაც აღმოსავლეთის ზონის გუნდებმა პირველი წრე ჩაამთავრეს, ცოტა თუ ვინმე მოიძებნებოდა, ვინც თბილისის „ლოკომოტივის" საბოლოო გამარჯვებაში დაეჭვდებოდა. რკინიგზის დეპარტამენტის საფეხბურთო გუნდი 53 ქულით დამაჯერებლად ლიდერობდა და უახლოეს მდევარს — ზოოვეტერინარული ინსტიტუტის „მორკინალს" მთელი 5 ქულით უსწრებდა. კლუბის პრეზიდენტმა რობინზონ ქინქლაძემ და მთავარმა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა იმ დროისათვის საკმაოდ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება მოასწრეს. ეს გუნდი საკმაოდ იოლად უმკლავდებოდა მეტოქეებს. ჩატარებული 19 მატჩიდან რკინიგზელებმა 17 მოიგეს, ორი ფრედ ითამაშეს (მათ შორის მთავარ კონკურენტ „მორკინალთან") და პირველი წრე დაუმარცხებლად დაამთავრეს. მაგრამ მეორე წრეში „ლოკომოტივს" ვერ იცნობთ: ფეხბურთელებს აშკარად ეტყობათ გადაღლა, მოიშალა შეთანხმება რგოლებს შორის. 10 თამაშიდან რკინიგზელებმა მხოლოდ 23 ქულა აიღეს, რამაც დაწინაურების საშუალება მისცა სტუდენტთა გუნდს.

დიდი აღმავლობით ატარებს მეორე წრის მატჩებს „მორკინალი". იგი ახლა 79 ქულით ზონის ერთპიროვნული ლიდერია. სტუდენტთა გუნდზე ზედგამოჭრილად ითქმის — ჩამოყალიბებული, თვითმყოფადი კოლექტივიაო. მას წლების განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, პროფესორი ელგუჯა გუგუშვილი. კარგა ხანია „მორკინალს" მეორე ჯგუფის ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივად მოიხსენიებენ. ორიოდე წლის წინათ სწორედ იგი ითვლებოდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების საბაზო გუნდად. აქ აღიზარდნენ ისეთი ნიჭიერი ოსტატები, როგორებიცაა ჭიჭვეიშვილი, კარიაული, ჭუმბურიძე, აბაზაძე. შარშან ელგუჯა გუგუშვილი თურქმენეთს რომ გადავიდა სამუშაოდ (იგი ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ავარჯიშებს), ბევრს ეგონა, რომ „მორკინალის" მზე ჩაესვენა. მაგრამ, საბედნიეროდ, გუგუშვილის შემცვლელი კაციც სწრაფად შეირჩა — სპარტაკ აუშტროვი (წარსულში იგი გამოდიოდა გურჯაანის „ალაზანში", ტყიბულის „მეშახტეში", სსრკ ჭაბუკთა ნაკრებში. წლების მანძილზე წვრთნიდა „ალაზანს", საჩხერის გუნდს). ამ კაცმა ღირსეულად გააგრძელა წინამორბედის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ „მორკინალი" უცხოეთში წასვლის გამო რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, ახალმა მწვრთნელმა სწრაფად მოუძებნა მათ შემცვლელები. აღსანიშნავია, რომ „მორკინალი", ალბათ, ერთადერთი გუნდია, რომელსაც მოწვეული ფეხბურთელები არ ჰყავს — ყველა მოთამაშე ზოოვეტის სტუდენტია.

დასავლეთ ზონაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი ადგილი პრაქტიკულად ჭიათურის „მაღაროელმა" გაინაღდა. იგი ახლა მთელი რვა ქულით უსწრებს მე-2-3 ადგილზე მყოფ ტყიბულის „მეშახტესა" და ოზურგეთის „მერცხალს". „მაღაროელის" მთავარი მწვრთნელია წარსულში ამავე გუნდის ვეტერანი ამირან სევასტოპულო. მან გუნდის ტექნიკურ დირექტორ ალექსანდრე მესხთან ერთად, ძლიერი, მობილური გუნდი შექმნა, სადაც კვლავ, როგორც საუკეთესო წლებში, ათამაშდა ფორვარდი გივი ქობელაშვილი (წლების მანძილზე იგი თბილისის „შევარდენში" და ხაშურის „იველიაში" გამოდიოდა).

ტყიბულისა და ოზურგეთის გუნდები გაафთრებით იბრძვიან მეორე ადგილისათვის. ორივე კოლექტივი კარგა ხანია მეორე ჯგუფის ბინადარია, მაგრამ ვერაფრით ვერ გადაუდგამთ მაღლა ასასვლელი ნაბიჯი. ეტყობა, ყველაფერი ოზურგეთში გადაწყდება, სადაც 9 მაისს ეს გუნდები ერთმანეთს შეერკინებიან.

ჯემალ ჭიპაშვილი

# რა ქნას მარიომ «კოკა-კოლა» რომ უყვარს?

**ყოველ საფეხბურთო კლუბს საჯარიმო სანქციათა საკუთარი სისტემა აქვს. სამწუხაროდ, რიგ შემთხვევაში ეს სისტემა ეფექტურად არ მუშაობს და საერთოდ - საჭიროა ჯარიმები? ვფიქრობთ, საქართველოს საფეხბურთო გუნდებში ყურადღებით გაეცნობიან ამ მასალას, ვინაიდან მასში მოყვანილია ის გამოცდილება, რომელიც გერმანული ბუნდესლიგის კლუბებს დაუგროვდათ.**



მარიო ბასლერი

მარიო ბასლერს ძალიან უყვარს „კოკა-კოლა". მიუნხენის „ბავარიისა" და გერმანიის ეროვნული ნაკრების 28 წლის ნახევარმცველის აღიარებით, იგი დღეში 4 ბოთლამდე ამ სითხეს მიირთმევს. ბასლერი რომ „კიოლნში" ირიცხებოდეს, „კოკა-კოლას" სიყვარული მას ძვირად დაუჯდებოდა. ამ გუნდის თავკაცი პეტერ ნოირურერი თვლის, რომ ამდენი სითხე (თუნდაც უალკოჰოლო!) ფეხბურთელთა ჯანმრთელობას ვნებს. ამიტომ დისციპლინის დარღვევათა ნუსხაში, რომელიც პირადად მწვრთნელმა შეიმუშავა, გაზიანი წყლის მიღება ისევე, როგორც, ვთქვათ, სიგარეტის მოწევა ან ეჭმისა და მასაჟისტის კონტროლის თავის არიდება ფულად ჯარიმას ითვალისწინებს — 500 გერმანული მარკა. 500 გამრავლებული თვეში 120 ბოთლზე — სულ 60 ათასი მარკა. რასაკვირველია, ისეთი მაღალხელფასიანი მოთამაშისათვის, როგორიცაა ბასლერი, ეს თანხა უმნიშვნელოა. მით უმეტეს, რომ მარიო მიჩვეულია ჯარიმების გადახდას. არც თუ დიდი ხნის წინათ მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელობამ იგი 10 ათასი მარკით დააჯარიმა იმისათვის, რომ საჯაროდ გააკრიტიკა მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის საქმიანობა. ფრანც ბეკენბაუერის კლუბის მიერ შედგენილი სასჯელთა კოდექსი სიმკაცრითაა განთქმული. ასე, შარშან შემოდგომით „შტუტგარტთან" მატჩის წინ „ბავარიის" რამდენიმე ფეხბურთელი დიდხანს იჯდა ლუდხანაში. ამით მათ პარაგრაფი 1 დაარღვიეს, რომელიც ავალდებულებს 23 საათამდე დაძინებას. დაგვიანება ფეხბურთელებს ძვირად დაუჯდათ — თითოს 10 ათასი მარკა. ასეთივე თანხით ისჯება ის მოთამაშე, რომელიც მსაჯთან კამათისათვისაა მინდვრიდან გაძევებული.

ახლა ლევერკუზენის „ბაიერში" მოქმედი საჯარიმო კოდექსზეც ვთქვათ. იგი მწვრთნელ კრისტოფ დაუმისა და მოთამაშეების უშუალო მონაწილეობით შემოიღეს (ჯარიმების თანხა — გერმანულ მარკებში):

**დაუკითხავად სავარჯიშო ბაზის მიტოვება — 2000;**

**დაგვიანებით დაძინება — 2000;**

**საზოგადოებრივ ადგილებში ნასვამი გამოჩენა — 2000;**

**მინდვრიდან გაძევება (გააჩნია მიზეზს) — 500-2000;**

**შეკრებაზე წესრიგის დარღვევა — 1000;**

**სათადარიგოთა სკამიდან მსაჯების მიმართ უცენზურო წამოძახილები — 500;**

**თავისუფალ დროს ავტოგრაფების მიცემაზე უარის თქმა — 300;**

**მატჩზე გამგზავრებისას ავტობუსზე დაგვიანება — 200;**

**სიგარეტის მოწევა ოფიციალური ღონისძიებების დროს — 100;**

**კვების დროს მობილური ტელეფონით საუბარი — 100;**

**სპორტული ინვენტარის დაკარგვა — 100;**

**ოფიციალური ღონისძიებების დროს საკლუბო ტანსაცმლის ფორმის დარღვევა (არასწორად შერჩეული ჰალსტუხი, პერანგი და ა.შ.) — 50;**

**ნებისმიერ გუნდურ ღონისძიებაზე დაგვიანება (ყოველი 5 წუთისათვის) — 10;**

**გუნდის ავტობუსის დანაგვიანება — 10;**

**კლუბის მაისურის გამოყენება ფეხების გასამშრალებლად ან დასაგებად — 10.**

ამდაგვარი საჯარიმო კოდექსების შემოღებამ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.



**პეტერ ნოირურერი, „კიოლნის" მწვრთნელი:** „დისციპლინარული პროფილაქტიკა და საჯარიმო სანქციები აუცილებელია. პატრიკ ვაიზერთან შემთხვევამ ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა. როდესაც ზაფხულში მას ფორსირებულად უნდა აეკრიბა სპორტული ფორმა, მე მის შეგნებას ვენდე. ფეხბურთელმა ჩემი ნდობა არაფრად აგდო, არ დადიოდა სამკურნალო პროცედურებზე, აცდენდა ინდივიდუალურ ვარჯიშებს (ბავშვს ძიძა ვერ მოვუძებნე და ამიტომ ვიჯექი სახლშიო). აბა, რა მექნა, ავიღე და მაღალი ჯარიმაც დავადე. საჯარიმო კატალოგი ჩვენ ფეხბურთელებთან ერთად შევადგინეთ... მოთამაშეებს მშვენივრად ესმით, რომ მათ არავინ ძარცვავს, ეს ფული ისევე მათ ხმარდება. მახსოვს, როდესაც შალკესა" და „საარბრიუკენში" ვმუშაობდი, საკლუბო სალაროში 20 ათასი მარკა საჯარიმო თანხა გროვდებოდა — ამ ფულს ჩვენ ბანკეტების მოწყობაში ვხმარობდით.

**იურგენ კლინსმანი, მიუნხენის „ბავარიისა" და გერმანიის ეროვნული ნაკრების ფორვარდი:** ყოველგვარ საჯარიმო სანქციების შემოღებას ძალიან უარყოფითად ვუყურებ. ჯარიმები — უკანასკნელი საშუალებაა მოთამაშეთა დისციპლინაზე რომ იმოქმედო. ერთი მხრივ, მათი შემოღება ნიშნავს კლუბის ავტორიტეტის დაცემას, მეორე და მთავარი — ამით ვადასტურებთ, რომ კლუბებში დაბალ დონეზე დგას აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან.

სასაცილოდ ვთვლი, როდესაც ვიღაც მკარნახობს ამა და ამ საათზე დაწექიო და ა.შ. როგორც პროფესიონალმა, ბრწყინვალედ ვიცი, რა მოვიმოქმედო, კარგ ფორმაში რომ ჩავდგე. იგივე ითქმის ჩემს კოლეგებზეც. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ზრდასრული ხალხი ვართ. რასაკვირველია, არიან გამონაკლისები, მაგრამ დარწმუნებული ვარ — ფეხბურთელი, რომელმაც რეჟიმი დაარღვია და რამდენიმე მატჩი ამის შედეგად სათადარიგოთა სკამზე გაატარა, აღარ ჩაიდენს მეორე შეცდომას... ჯარიმებით კი არ უნდა ვებრძოლოთ წესრიგის დამრღვევებს, არამედ გავაძლიეროთ ფეხბურთელებში აღმზრდელობითი მუშაობა.

## ჩვენებმა წარუმატებლად დაიწყეს

წარუმატებლად დაიწყეს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი საქართველოს 16 წლამდე ასაკის ნაკრების ფეხბურთელებმა. მათ უნგრელებთან წააგეს 3-6. ბურთები ქართველთაგან გაიტანეს ჯაკობიამ — 2 და გველესიანმა.

ამავე „C" ჯგუფში ბელგიელებმა იტალიელებს სძლიეს, 1-0.

## ევროპა — დანარჩენი მსოფლიო 3-4

გუშინწინ, ბარსელონას ოლიმპიურ სტადიონზე საქველმოქმედო მატჩი გაიმართა, რომლის მთლიანი შემოსავალი ვეტერან ფეხბურთელთა დახმარების ფონდში ჩაირიცხა: ევროპის ნაკრები დანარჩენ მსოფლიოს შეხვდა და დამარცხდა 3-4. მატჩში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა ცნობილმა ვარსკვლავებმა, როგორებიცაა დიეგო მარადონა, ერიკ კანტონა, ჯანლუკა ვიალი, რობერტო მანჩინი, ხრისტო სტოიჩკოვი.

# ნბა: ფლეი-ოფებში კვლავ ჯორდანმა გაიბრწყინა




**აღმოსავლეთი კონფერენცია**

ჩიკაგო — ვაშინგტონი 2-0 (98:86, 109:104), მაიამი — ორლანდო 2-0 (99:64, 107:87), ნიუ-იორკი — შარლოტი 2-0 (109:99, 100:93), ატლანტა — დეტროიტი 1-1 (89:75, 80:93).

**დასავლეთი კონფერენცია**

იუტა-კლიპერსი 2-0 (106:86, 105:99), სიეტლი — ფინიქსი 1-1 (101:106, 122:78), ჰიუსტონი — მინესოტა 2-0 (112:95, 96:84), ლეიკერსი — პორტლენდი 2-0 (95:77, 107:93).

საფლეიოფო სერიაში კვლავ შეუდარებელი იყო მაიკლ ჯორდანი. მეორე მატჩის მეოთხე პერიოდში „ხარებმა" 23 ქულა მოაგროვეს, აქედან ჯორდანის ანგარიშზეა – 20.

მაიკლის დარად მეორე მატჩში გაიბრწყინა მაიამელმა ტიმ ჰარდვეიმ, რომელმაც 20 ქულა დააგროვა და 11 ზუსტი გადაცემა შეასრულა. „მაიამის", სხვათა შორის, ჯერ არასოდეს გაუმარჯვნია ფლეი-ოფებში და ახლა დიდი შანსი აქვს ნავსი გატეხოს, თუკი მესამე შეხვედრაშიც გაიმარჯვა.

სიეტლში თავი გამოიჩინა შონ კემპმა – განმეორებით შეხვედრაში მან 23 ქულა დააგროვა და 15-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი. მასპინძელთაგან აქტიური იყო აგრეთვე გერი პეიტონიც (23 ქულა).

ლოს-ანჯელესში გაიბრწყინა შაკილ ო'ნილმა (30 ქულა), მას მხარი აუბა ედი ჯოუნზმაც (19).

ფლეი-ოფების მესამე მატჩები დღეს გაიმართება.



## გუშინ...

მივიღეთ ცნობა, რომ მოსკოვში დამთავრებულ აკრობატთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც მსოფლიოს მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში „კოსმონავტების თასის" გათამაშებითაა ცნობილი, წარმატებით იასპარეზა 19 წლის თბილისელმა ოსტატმა ვეფხია ხუბაევმა (ადრე იგი ტანმოვარჯიშე იყო). ჩვენს სპორტსმენს მეორე ადგილი ხვდა წილად (მწვრთნელი ჯუმბერ ლაშხი).

საგენტო ბუმათე

## კალათბურთი

### ევროლიგა «ოთხთა ფინალი» • რომი

ფინალი: „ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — „ბარსელონა" (ესპანეთი) 73:58

მესამე ადგილისათვის: ოლიმპია (სლოვენია) — ვილერბანი (საფრანგეთი) 86:79.

## ფორმულა-1: შუმახერმა ამაოდ დაიქადნა

**მსოფლიო ჩემპიონატმა მესამე კონტინენტზე გადაინაცვლა – მელბურნიდან, სან-პაულუსა და ბუენოს-აირესის გავლით სან-მარინოს ენცო და დინო ფერარების ავტოდრომს მიადგა. სწორედ აქ (ტრასის სიგრძე 4.895 კმ, რბოლის დისტანცია: 63 წრე – 308,385 კმ) გასულ უიკ-ენდებზე ჩატარდა IV ეტაპი.**

ასპარეზობის დაწყების წინ ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა თავდაჯერებით განუცხადა ჟურნალისტებს, რომ იმოლაში იგი „ფერარის" პირველ გამარჯვებას მოუტანს: „დარწმუნებული ვარ, ჩვენ შეგვიძლია პოდიუმზე ასვლა, ვინაიდან ჩავატარეთ დიდი სამუშაო და მანქანა შეესატყვისება ტრასის მახასიათებლებს. ეს კი აქ გამარჯვებას რეალურს ხდის. მართალია, საუკეთესო მანქანა „უილიამსს" აქვს და მათი დამარცხება ძნელი იქნება, მაგრამ სწორი ტაქტიკის წყალობით ეს სავსებით შესაძლებელია". საერთო ჩათვლაში ჩემპიონატის ლიდერმა, კანადელმა ჟაკ ვილნევმაც დაახლოებით იგივე თქვა: „ერთი სული მაქვს, როდის გამოვალ ტრასაზე. ჩემპიონატი ჩემთვის კარგად დაიწყო და ვეცდები, ასევე წარმატებით გავაგრძელო იგი".

იმედით ხვდებოდა სან-მარინოს დიდი პრიზის გათამაშებას ჰეინც-ჰარალდ ფრენტცენიც, რომელსაც წლეულს ჯერ ქულა არ აუღია: „არგენტინიდან დაბრუნების შემდეგ ვარჯიში ბარსელონაში გავაგრძელეთ და რამდენიმე ათეული კილომეტრიანი ტესტური სამუშაო შევასრულე. ჩემთვის ჩემპიონატი ევროპაში, კერძოდ, იმოლაში იწყება. ეს საკმაოდ სწრაფი ტრასაა რთული მოსახვევებით. ყველაფერს ვეცდები, რომ ამ რბოლაში გავხსნა ჩემი ქულების ანგარიში". და მართლაც, იმოლაში გერმანელმა მრბოლმა ეს შეძლო.



„უილიამსელი" ვილნევი 26-ე წრემდე რბოლის გამოკვეთილი ლიდერი იყო, მაგრამ შემდეგ მისი ბოლიდის გადაცემათა კოლოფში რაღაც მოიშალა და კანადელი ტრასას ჩამოცილდა. ამან საშუალება მისცა მის თანაგუნდელ ფრენტცენს სეზონში პირველი გამარჯვება მოეპოვებინა.

**პირადი ჩათვლა.** 1. ჰეინც-ჰარალდ ფრენტცენი – 1 სთ. 31 წთ. 0,673 წმ. (საშუალო სიჩქარე – 201. 509 კმ/სთ). 2. მიხაელ შუმახერი – ჩამორჩა 1,237 წამით, 3. ედი ირვინი – 1:18. 343, 4. ჯანკარლო ფისიკელა – 1:23.388.

**ოთხი ეტაპის ჯამში:** 1. ჟაკ ვილნევი (კანადა) – 20 ქულა, 2. მიხაელ შუმახერი (გერმანია) – 14, 3-7. ჰეინც-ჰარალდ ფრენტცენი, დევიდ კულტჰარდი, ედი ერვინი, გერჰარდ ბერგერი, მიკა ჰაკინენი – 10-10.

**გუნდური ჩათვლა:** „უილიამსი" – 30 ქულა, 2. „ფერარი" – 24, 3. „მაკლარენი" – 20, 4. „ბენეტონი" – 13, 5. „ჯორდანი" – 7.

## სპორტლოტო

27 აპრილს გაიმართა ლატარია „სპორტლოტო 5-36"-დან გათამაშების მე-17 ტირაჟი. დაშვებული იყო 7670 ვარიანტი.

მოგებახვედრილი ციფრები:

**11 35 25 28 34.**

ხუთი ციფრი ვერავინ ამოიცნო, 4 ციფრის ამოცნობისათვის (1 ვარიანტი) — 287,60 ლარი, 3 ციფრისათვის (41 ვარიანტი) — 9.30 ლარი. მოგებები განაღდდება 30 აპრილიდან 30 მაისის ჩათვლით.

მორიგი, მე-18 ტირაჟი გაიმართება 4 მაისს. ამ ტირაჟისათვის „ჯეკ-პოტი" შეადგენს 8267 ლარს, ამასთან ერთად, გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა.

„სპორტპროგნოზის" მოყვარულებს შევახსენებთ, რომ 11 მაისს გაიმართება მორიგი, მე-13 ტირაჟი.

პროგრამაშია იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონატების მატჩები:

**იტალიის ჩემპიონატი (30-ე ტური)**
**1. ნაპოლი — რომა**
**2. სამპდორია — ინტერი**
**ესპანეთის ჩემპიონატი (37-ე ტური)**
**3. ბარსელონა — რეალი**
**4. ვალენსია — დეპორტივო**

ბილეთების „ბ" ნაწილების ჩაბარების ბოლო ვადაა: რეგიონებში — 8 მაისი, თბილისში — 9 მაისის 12 საათამდე.

გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი (თბილისი)



შამათი 12 სვლაში

„ლელოს" 32-ე ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლb3! — მe6X
1. ...e3 2. ლ:b4X
1. ...ef 2. ეd5X
1. ...მფc5 2. ლd5X

## ვიწვევთ გამავრცელებლებს

„ლელოს" რედაქცია სამუშაოდ იწვევს გაზეთის გამავრცელებლებს თბილისში და მის ფარგლებს გარეთ. ანაზღაურება სოლიდურია. მისამართი, თბილისი, კოსტავას, 14. ტელ. 99-56-14.

## ყურადღება!

„ლელოს" გამოწერა თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერი ნომრიდან. დღეს, თუნდაც ახლავე და „ლელოს" შემდეგ ნომერს გნებავთ უკვე შინ მიიღებთ, გნებავთ სამსახურში. დაწვრილებით ტელეფონით: 93-64-72, 99-56-14.

**ქ. თბილისის მერიის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ცენტრალური სპორტსკოლა თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტს ომარ ღონღაძეს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია თანაუგრძნობს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს ომარ ღონღაძეს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს ომარ ღონღაძეს დედის გარდაცვალების გამო**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს რობერტ შავლაყაძეს ძმის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წარსულში საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი**

**იური მარშანია (მაშინაია)**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**
**პანაშვიდი 1 და 2 მაისს, დაკრძალვა 3 მაისს, 14 საათზე.**
**ნუცუბიძის 179, I კორპ.**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 6. ფეხბურთელი, საბერძნეთის აეკის ქართველი ლეგიონერი, 8. წარსულში ცნობილი ბასკი ფეხბურთელი, 12. საჭიდაო ხალიჩა, 14. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 16. არგენტინელი ფეხბურთელი, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 18. „ცრვენა ზვეზდას" წარსულში ცნობილი იუგოსლაველი ფეხბურთელი, 19. ცნობილი ნიგერიელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 20. წმინდა გამარჯვება ძიუდოში, 21. გერმანელი ჩოგბურთელი ვაჟი, 24. გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი, 26. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 27. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 29. ახლო წარსულში „ნიუკასლის" საფეხბურთო მწვრთნელი, 30. ურუგვაელი ფეხბურთელი, 1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონი. 31. არგენტინის საფეხბურთო კლუბი, 32. ხორვატი ჩოგბურთელი ვაჟი.

**შვეულად:** 2. „სამპდორიის" ფეხბურთელი, 3. „რომას" არგენტინელი ფეხბურთელი, 4. არგენტინელი ფეხბურთელი, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 5. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 7. სახტუნაო ბადე, 9. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 10. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი, 11. „ფენერბახჩეს" ბულგარელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 13. ესპანელი ჩოგბურთელი ქალი, 15. „მილანის" მცველი, 17. კამერუნის ნაკრების ყოფილი მეკარე, 22. ესპანეთის ნაკრების ყოფილი მეკარე, 23 „მონაკოს" ნიგერიელი ფეხბურთელი, 24. ჯილდო შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, 25. ოლიმპიური კლასის იალქნიანი ნავი, 28. ფრანგი ავტომრბოლი, 29. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 5. „უემბლი", 6. ნევილი, 10. ტისიე, 11. კნუპი, 12. ჩიხრაძე, 15. პრემია, 16. იორატი, 17. რაიტი, 18. ჰოდლი, 21. სიმენი, 23. ენტონი, 27. ჯანაშია, 29. პლატი, 30. ზოიძე, 31. ალქაზი, 32. „ომონია".

შვეულად: 1. შელია, 2. „ალანია", 3. დევაძე, 4. გლენი, 7. შირერი, 8. პირსი, 9. სპორტი, 13. ყფიანი, 14. ლონდონი, 19. ქინოლა, 20. ანთაძე, 22. ალანი, 24. პარიზი, 25. „დინამო", 26. სტილი, 28. ნოდია.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხმონიშვილი. შემსრულებლები მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშნიძე